| | |
|---|---|
|  | იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია. |



# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 23 აპრილი, 2010 წელი.

№75 (6441)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ჩვენ დაფინანსებული ტყუილებით ვიკვებებით



6

## რას ერჩის მაია მეტრეველი ხალხს, ქვეყანას და მის პერსპექტივებს?

7



საქართველოს რაიონებში შტატით დღეს მხოლოდ 120-მდე ვეტერინარი მუშაობს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ უნდა მიხედოს საშუალოდ 9 ათას-ზე მეტ საქონელს ერთმა ვეტერინარმა? ამაზე თუ უფიქრიათ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნულ სამსახურში?



4

## გია გვაზავა: თუ აფხაზებს ჯერ კიდევ შერჩათ გონება, მათ შემორიგებას შევძლებთ

## შოთა ნადირაშვილი: საქართველოში შიდა დაპირისპირება დანაშაულად მიიჩნეოდა და კარგ ტონად არასდროს ითვლებოდა

3

## ოპოზიციონერები არიან თუ ხელისუფლების სატელიტები?

5



## აჭარაში პირველი კერძო აღმასრულებელი ამოქმედდა

6

## ზოგი – საკუთარი ინიციატივით, ზოგიც – მიწვევით...

3

## ჩვენთან ყველაფერი იმიტირებული როგორ უნდა იყოს?

2

## გაყოფილი ხედვები და გაყოფილი გზები ქართველებსა და ქართველებს, რუსებსა და რუსებს შორის

ვინ არის ერის მოღალატე?

◎ მემორანდუმი

# გაყოფილი ხედვები და გაყოფილი გზები ქართველებსა და ქართველებს, რუსებსა და რუსებს შორის

## ვინ არის ერის მოღალატე?

**უბრალოდ დამთხვევაა, ასე ახსნეს ქრისტიან-დემოკრატებმა ის ორი მოვლენა, რომ გუშინ გამთენიისას თბილისიდან დელეგატები რუსეთში ქართული დიასპორის კონგრესზე გაემგზავრნენ, ხოლო პარლამენტში რუსმა ქრისტიან-დემოკრატებმა ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

ორივე ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რომელსაც თაობები განსჯიან და შეაფასებენ, მაგრამ დღევანდელი ვითარება ასეთია: საქართველოს ხელისუფლება რუსეთში წასულ დელეგატებს მოღალატეებს თუ არა, ამის მსგავსი სინონიმის შესატყვისი ეპითეტებით მაინც ამკობს. ალბათ, ისევე შეაფასებს რუსეთი საკუთარ მოქალაქეებს, თუმცა... რა როგორ მოხდება, ან საზოგადოების მხრიდან რა გამოძახილს ჰპოვებს, ეს მოგვიანებით გახდება თვალსაჩინო.

რა ინფორმაციას ჩამოიტანენ ქართველები რუსეთიდან, ან იქ რას იტყვიან, რა პერსპექტივებს დაინახავენ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, ეს თემები დღეიდან აქტიურად მოექცევა მედიის ყურადღების ცენტრში, თუმცა არანაკლები ინტერესი გამოიწვია გუშინდელმა დღემ. ქართველი და რუსი ქრისტიან-დემოკრატები დამეგობრდნენ. სერგეი მეზენცევი და ალექსანდრე ოგოროდნიკოვი თბილისს საკმაოდ მრავლისმთქმელი მისიით სტუმრობდნენ.

პროფესორი მეზენცევი, ფილოსოფოსი, ავტორია წიგნისა „საერთაშორისო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა: თეორია და პრაქტიკა“, ხოლო ოგოროდნიკოვი არის ჟურნალისტი, გაზეთ „საზოგადოება – XXI საუკუნეს“ რედაქტორი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს წევრი. ეს პოლიტიკური ძალა რუსეთში ამინდს ვერ ქმნის, თუმცა არა აქვს იმპერიალისტური ამბიციები და მხოლოდ კეთილმეზობლობაზე აგებს ურთიერთობებს.

გიორგი თარგამაძის თქმით, საქართველოსა და რუსეთს შორის ისე განვითარდა მოვლენები, რომ იშვიათი გახდა ორ პოლიტიკურ ძალას შორის ურთიერთობა. თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ არა თუ იშვიათი, არამედ თითქმის არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ნოლაიძელის პარტიასა და „ედინაია რასიას“ შორის გაფორმებულ მემორანდუმს.

რუსი დემოკრატების ვიზიტი ერთი თვის წინათ დაიგეგმა, მაგრამ რადგანაც მათ აქ ჩამოსვლისას პრობლემები არ შექმნიათ და არც მათი ხელისუფლების მხრიდან მოჰყოლია უარყოფითი რეზონანსი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ოფიციოზი მსგავს ვიზიტებს შედარებით კონსტრუქციულად უყურებს. განსხვავებით საქართველოს ხელისუფლებისგან, რომელსაც რუსეთში ქართველების ჩასვლა ამა თუ იმ მოტივით, ძალიან აშფოთებს.

თავად ქრისტიან-დემოკრატები რუსულ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობას ასეთ არგუმენტებს უძებნიან: ხელისუფლება, ოპოზიცია, საზოგადოება – ყველა იმ აზრზეა, რომ რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ მეგობარი რომ იპოვო რუსეთში, ამისათვის ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი პირობაა საჭირო – საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს და პატივს უნდა სცემდეს.

ნოლაიდელი მივიდა იმ ძალასთან, რომელსაც ნამდვილად არ აძლევს ხელს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. არა მგონია, ებრალიძეს და მის ინიცირებულ კონგრესზე მიწვეულ ქართველებს თუნდაც ერთი წამით ეპარებოდეთ ეჭვი ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აუცილებლობაში, მეტიც, მათი მტკიცებით, მიდიან იმიტომ, რომ ამით ცოტათი მაინც უკეთესობისკენ დაძრან ქართულ-რუსული ურთიერთობები.

აი, ქრისტიან-დემოკრატები კი, მათი კეთილგანწყობის მიუხედავად, გუშინ გაფორმებული მემორანდუმიდან არც კარგს ელოდებიან და არც ცუდს. მაგრამ ამ დოკუმენტში წერია მთავარი: „მხარეები პატივს სცემენ საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას“.

ალექსანდრე ოგოროდნიკოვმა კეთილად მოიგონა რამდენიმე წლის წინათ თბილისში გატარებული დღეები, ადამიანური დამოკიდებულებები. გაიხსენა, თუ რა განწყობა ჰქონდა რუს ხალხს ომის დღეებში; მისი თქმით, დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, რუსულ საზოგადოებაში ანტიქართული განწყობა მაინც არ არის, რადგან ყველას კარგად ახსოვს და გაცნობიერებული აქვს ფუნდამენტური საერთო წარსული, მეგობრობა. ოგოროდნიკოვმა სიმაყით აღნიშნა, რომ რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობა და მან, ასევე, მიუთითა ილია II-ს დამსახურებასა და ღვაწლზე. რუსეთში კარგი იციან, როგორი ნდობით სარგებლობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, – აღნიშნა მან.

ვინაიდან ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა დაჩაგრულია რუსეთში, ბუნებრივია, ისინი ოფიციალური ხელისუფლების კურსს არ იზიარებენ. მეტიც, მათთვის მიუღებელია მედვედევისა და პუტინის პოლიტიკა, დამოკიდებულება მეზობლებთან, განსაკუთრებით საქართველოსთან.

ოფიციალური თბილისი საქმის კურსშია. პარლამენტში რუსი პოლიტიკოსებს ვიზიტს მონდომებით ხვდებიან. არავითარი ეჭვისმომგვრელი კომენტარი. მათთვის მთავარია იმ ადამიანთა სახის ხილვა, ვისაც პუტინი და მედვედევი არ უყვართ.

არც კონგრესზე წასულ დელეგატებს უყვართ სააკაშვილი და მოსწონთ მისი პოლიტიკური კურსი, მაგრამ, რას ფიქრობენ პუტინზე და მედვედევზე, ძნელი სათქმელია. არაერთხელ უთქვამთ, რომ მტერთან დიალოგი აუცილებელია, მაგრამ პირდაპირ უწოდებენ თუ არა მტერს „რუს ლიდერებს“, არავინ იცის.

ვინ არის მტერი, ვინ არის მოყვარე, ვინ – ერთგული და ვინ – მოღალატე?! – საზოგადოებაში აზრები დაყოფილია. ზოგს მოსწონს ის, რაც ხდება, ზოგს – არა. დივიდენდებზე საუბარი ცოტა ნაადრევია, მაგრამ იმის თქმა, რომ ან ქართველ დელეგატებს არ უყვართ სამშობლო, ან – რუს დემოკრატებს, ნამდვილად აბსურდია. უბრალოდ, რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით იყოფა ხედვები ქართველებსა და ქართველებს, რუსებსა და რუსებს შორის. მგონი, ამას არ ჰქვია „მოღალატეობა“. ეს არის სურვილი, როგორ აღდგეს ამ ორ ერს შორის ურთიერთობა, რათა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რასაც ამჯერად მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატებმა მიაღწიეს: „პატივს სცემენ საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას“. თუმცა არავინ იცის, როდის გაფორმდება ეს სიტყვები ოფიციალურად საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის.

**თეა მოსია**

◎ ინფორმაცია

## ვანდალურ ფაქტს უმოკლეს ვადებში გამოიკვლევენ

**ისრაელში შოთა რუსთაველის ბარელიეფის დაზიანების ფაქტს, საქართველოში ისრაელის ელჩი იცხაკ გერბერგი გამოეხმაურა. გერბერგის განცხადებით, აღნიშნულ ვანდალურ აქტს, ისრაელის შესაბამისი ორგანოები შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში გამოიძიებენ. დაზიანებულ ბარელიეფს კი ებრაული მხარე აღადგენს.**

**ეს განცხადება იცხაკ გერბერგმა, ისრაელის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე გააკეთა.**

**შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ უცნობმა პირებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2005 წელს დამონტაჟებულ შოთა რუსთაველის ბიუსტს თვალები დაუზიანეს.**

## ალასანია გლოვერს შეხვდა



**„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერები ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ოდრი გლოვერს შეხვდნენ.**

**როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ირაკლი ალასანიამ განუცხადა, არსებულ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს - ამომრჩეველთა სიებსა და მასში აღმოჩენილ უზუსტობებს, ხელისუფლების მიერ საკუთარი კანდიდატის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, ძალოვანი უწყებების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში ჩარევას, ასევე მედიის თავისუფლების კუთხით არსებულ პრობლემებს შეეხო.**

**– საუბარი იყო იმის შესახებ, თუ რა რეკომენდაციები უნდა შესრულდეს, რომ მინიმუმამდე დავიდეს გაყალბების შესაძლებლობები. ჩვენ მივიღეთ სრული გარანტია ეუთოს დამკვირვებელთა მისიისაგან, რომ ამომრჩეველთა ხმების კონფიდენციალურობა იქნება დაცული. სწორედ ეს არის დღეს მნიშვნელოვანი, რომ მთელმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ მოვიდნენ არჩევნებზე, მიიღონ მონაწილეობა და მათი ხმების კონფიდენციალურობა იქნება დაცული და უზრუნველყოფილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, – განაცხადა ალასანიამ.**

## საქართველოსა და უკრაინის მიმართ ნატოს პოზიცია არ შეცვლილა

**რასმუსენმა ეს განცხადება ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, ნატოს მინისტერიალის დაწყებამდე გააკეთა. რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნატოს გენერალურმა მდივანმა უკრაინასა და საქართველოზე ისაუბრა. მისი თქმით, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება უკრაინასა და საქართველოსთან დაკავშირებით კვლავ ძალაშია და ეს ორი ქვეყანა ნატოს წევრები აუცილებლად გახდებიან.**

**ნატოს ორდღიანი მინისტერიალი ესტონეთის დედაქალაქში გუშინ გაიხსნა. შეხვედრას 45 ქვეყნის 600 დელეგატი ესწრება, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე.**

**სამიტზე ნატოს წევრები ალიანსის ახალ სტრატეგიაზე, ნატოს გაფართოებაზე, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაზე და ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე იმსჯელებენ. აღნიშნულ სამიტზე რუსეთის კომისიის სხდომაც უნდა გამართულიყო, თუმცა რუსული მხარის მოთხოვნით, სხდომა გადაიდო. რუსულმა მხარემ სხდომის გაუქმების მიზეზად ოფიციალური მიწვევის არარსებობა დაასახელა.**

## „უცნობს“ თბილისის მერობა არ სურს



**მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე მისი ძმის – გია გაჩეჩილაძის მიერ თბილისის მერის არჩევნებში შესაძლო მონაწილეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას „თითიდან გამოწოვილს“ და „სერიოზულობას მოკლებულს“ უწოდებს.**

**როგორც გაჩეჩილაძემ აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, „უცნობი“ მერის პოსტზე კენჭისყრას არ აპირებს.**

**– მე უკვე ველაპარაკე გიას და მითხრა, რომ მსგავსი კომენტარი არ გაუკეთებია და არც მერის არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ეს თემა სერიოზულობას მოკლებულია. თითიდან გამოწოვილია. მსგავსი არაფერი ხდება, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ „სასამართლოს რეფორმა“

# ჩვენთან ყველაფერი იმიტირებული როგორ უნდა იყოს?

**2010 წლის 22 აპრილს საქართველოს მთავარ პროკურატურაში იმიტირებულ სასამართლო სხდომათა დარბაზი გაიხსნა. ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჯონ როდნი ბასმა და მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შავლიაშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძე, პარლამენტის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.**

საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობაში იმიტირებულ სასამართლო სხდომათა დარბაზის არსებობა მიზნად ისახავს პროკურატურის თანამშრომლებისთვის იმიტირებული სასამართლო სხდომების სახით სპეციალური მასტერ-კლასების გავლის შესაძლებლობას. პროკურორებს ამ დარბაზში იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარებით საშუალება ექნებათ აიმაღლონ და სრულყონ საკუთარი კვალიფიკაცია და ამგვარად მომზადებულები შეხვდნენ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებას. ახალი საპროცესო კოდექსის თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში, დარბაზი შესაძლებელს გახდის პროკურატურის თანამშრომლებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირობებში, მაქსიმალურად რეალურ გარემოში იგრძნონ თავი როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის როლში.

იმიტირებულ სასამართლო სხდომათა დარბაზში სპეციალურად არის გათვალისწინებული შესაბამისი ადგილი და პირობები ნაფიცი მსაჯულებისა და პროცესის მონაწილე სუბიექტებისთვის, დარბაზი ასევე აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.

იმიტირებულ სასამართლო სხდომათა დარბაზი პროკურატურის შენობაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გიხსნა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ თვალსაზრისი



**ქართველი ამომრჩევლის უმნიშვნელოვანეს თვისებებზე, რა გავლენა იქონია ამომრჩეველზე უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიღებულმა საარჩევნო გამოცდილებამ და ასევე იმაზე, თუ რამდენად პოპულარულია ქართულ საზოგადოებაში ხელისუფლების შეცვლის რევოლუციური გზა, „ინტერპრესნიუსი“ უხუცეს ქართველ ფსიქოლოგს, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს ესაუბრა.**

# საქართველოში შიდა დაპირისპირება დანაშაულად მიიჩნეოდა და კარგ ტონად არასდროს ითვლებოდა

**— ბატონო შოთა, თქვენი აზრით, როგორია საქართველოს მოქალაქეების, როგორც ამომრჩევლის ზოგადი პორტრეტი?**

— ეროვნულ საკითხებზე საარჩევნო ამოცანებს ქართველი ამომრჩეველი უპასუხებდა როგორც ერი. ამიტომ, უმნიშვნელოვანეს არჩევნებზე ამომრჩევლის, როგორც ერის პასუხი ეროვნული ორიენტაციით იყო განპირობებული. დასავლური ტიპის არჩევნებს, როგორც ამოცანას, ქართველი ამომრჩეველი მიუდგა არა როგორც პირადი საკითხების მოგვარების საშუალებას, ან ინდივიდუალური აზრის გამოხატვის საშუალებას, არამედ, ერისათვის სასარგებლო ისტორიულ გადაწყვეტილებას.



ისტორიული არჩევნების გამოწვევას ქართველმა ამომრჩეველმა ღირსეულად უპასუხა. არ განუხილავს არჩევნები თავისი პირადი მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების გადაჭრის საშუალებად. ქართველმა ამომრჩეველმა ქვეყნის, ქართველი ერის საერთო საჭიროებით იხელმძღვანელა. ამიტომ ის, ვინც ორგანიზებას უკეთებს არჩევნებს და საზოგადოების პოლიტიკურ აქტიურობას, უნდა ახსოვდეს, რომ მას საქმე აქვს ერის ნების გამოხატვასთან. ქართველი ამომრჩეველი ეროვნულობაზე ორიენტირებული ამომრჩეველია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ამომრჩეველი მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალურობით გამოირჩევა, მისი არჩევანი ითვალისწინებს ერის, როგორც პოლიტიკური სუბიექტის მოთხოვნებსა და საჭიროებას. შესაძლოა, რიგითი მოქალაქეები, არჩევნებს ხშირ შემთხვევაში, არაცნობიერად, სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგრამ ყველა ორიენტირებულია ერისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად.

**— ჩვენი ამომრჩევლის უმრავლესობა საკუთარი პრობლემებისადმი ინტერესით გამოირჩევა თუ ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემათა დღის წესრიგით?**

— საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში სხვადასხვა ინტერსეთა წარმოჩენამ დღის წესრიგში ამომრჩევლების სხვადასხვა ინტერესი დააყენა. სხვადასხვა ამოცანამ ამომრჩევლის ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფად აქტუალიზება გამოიწვია. ამიტომ, ის ერთიანობა, რომელიც ქართველ ამომრჩეველს, როგორც ეროვნულ მოვლენას თავიდან ახასიათებდა და გამოარჩევდა, თანდათან დაშლა დაიწყო, რაც ინტერესთა მიხედვით ამომრჩევლის ხმათა გადანაწილებაში გამოიხატა.

ერის წინაშე არსებული ამოცანა აღარ აღმოჩნდა ის მთავარი, რაც თითქმის ყველა ამომრჩეველს აერთიანებდა. არჩევნების მთავარ საკითხად იქცა ხელისუფლებისა და პარტიების მიერ დასახული პირადი ამოცანების გადაწყვეტა. ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვას ჩაენაცვლა პირადულ ინტერესებზე ზრუნვა. ქართველი ერი, როგორც ამომრჩეველი გადავიდა იმ საფეხურზე, რომელსაც აქვს ეროვნული ინტერესები და ის ძირითადია, მაგრამ პიროვნული მდგომარეობის მოპოვების სურვილი მძლავრ ტენდენციად იქცა. ამ საქმეში ამომრჩეველი ხელისუფლების მიმბაძველი გახდა. ამომრჩეველმა დაიწყო იმაზე ფიქრი — მოცემულ მომენტში მისთვის ხმის მიცემა ვისთვისაა ხელსაყრელი, რომ პიროვნული მდგომარეობა მანაც გაიუმჯობესოს. მაშასადამე, ამ ეტაპზე, ამომრჩეველი პიროვნებად ორ ჯგუფად — პირად და ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულად გაიყო.

ჩვენი პრეზიდენტი ორიენტირებული იყო დავით აღმაშენებელზე, ქვეყნის გამთლიანებაზე, თავიდანვე იდეალიზებული გეგმები დასახა, მაგრამ ქვეყნის გამთლიანების სწრაფვა და ბევრი რამ სხვა, არარეალური აღმოჩნდა. ხელისუფლებამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის წინ წამოწევა იჩქარა. ამის გამო ხელისუფლების ავტორიტეტი გარკვეულ წილად შეილახა. ხელისუფლებამ იმის გამოც დაკარგა ავტორიტეტი, რომ მისმა მხარდამჭერმა პოლიტიკოსებმა მოქმედება თავისი პირადი სარგებლისთვის დაიწყეს.

მიუხედავად ამისა, ქართველი ამომრჩეველი ისევ რჩება ეროვნულ პრობლემატიკაზე ორიენტირებულ ამომრჩევლად, მაგრამ პარალელურად გაძლიერდა პირადი ინტერესები. ეროვნულისა და პიროვნული ინტერესების თანამშრომლობა ჯერ არ მიღწეულა. სწორედ ეს არის ის, რიც გამოც არის დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

იხ. 4 გვ.

◉ კონგრესი

# „პეტერბურგში გამგზავრება პრობლემატური სულაც არ არის“



**ექსპერტი გია ხუხაშვილი ოპოზიციის ლიდერებისა და საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლების რუსეთში ვიზიტში „ვერაფერს პრობლემატურს ვერ ხედავს“.**

— ამაში ვერაფერს პრობლემატურს ვერ ვხედავ. ორი აზრი არ არსებობს იმაში, რომ ჩვენ უნდა ვესაუბროთ ჩვენს დიასპორას და თუნდაც ისეთებს, როგორიც ებრალიძეა. კონგრესზე, რომელზე დასასწრებადაც ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი და საზოგადოების რიგი წარმომადგენელი გაემგზავრა მარტო ებრალიძე ხომ არ იქნება? არ შეიძლება მთლიანად ჩვენს დიასპორას მოღალატის იარლიყი დავკიდოთ. ეს კატასტროფის მომტანი იქნება საქართველოსთვის. ეს ადამიანები უცხოეთში, თავის დროზე არა კარგი ცხოვრების გამო, არამედ იმ პრობლემების გამო წავიდნენ, რაც ჩვენს ქვეყანაშია. აქედან გამომდინარე, ისეთი ტონი, რომელიც მედიას აქვს ატაცებული, კარგის მომტანი არ არის. ებრალიძე თუ ცუდია, ეს ცუდი მხოლოდ ებრალიძისთვისაა, — განაცხადა ხუხაშვილმა.

რაც შეეხება რუსეთში ვიზიტის ფარგლებში „ეროვნული საბჭოს“ ლიდერების — კოკა დავითაშვილისა და კახა კუკავას მიერ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაგეგმილ შეხვედრებს, ექსპერტი უარყოფითს ვერც აღნიშნულში ხედავს და აცხადებს, რომ ოპოზიცია მოსკოვთან სახელმწიფოებრივ საკითხებზე მოლაპარაკებებს ვერ აწარმოებს.

# ზოგი — საკუთარი ინიციატივით, ზოგიც — მიწვევით...

**სანკტ-პეტერბურგში ქართული დელეგაციის ნაწილი გაემგზავრა, მათ შორის არიან პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი და „ნეიტრალური საქართველოს„ ლიდერი ვალერი კვარაცხელია. ისინი სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ, ბიზნესმენ ალექსანდერე ებრალიძის მიერ ორგანიზებულ კონგრესში მიიღებენ მონაწილეობას.**

პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილის განცხადებით, ალექსანდრე ებრალიძეს არც ერთი ქართველი პოლიტიკოსი აღნიშნულ კონგრესზე არ დაუპატიჟებია. მისი თქმით, კონგრესზე, მხოლოდ ქართულ დიასპორასთან შეხვედრა იგეგმება და ამ შეხვედრაზე საპატიო სტატუსით დამოუკიდებელი ექსპერტები მიიწვიეს. კლიმიაშვილის თქმით, ის პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთში მიემგზავრებიან — კახა კუკავა, კოკა დავითაშვილი და ვალერი კვარაცხელია, სანკტ-პეტერბურგში საკუთარი ინიციატივით მიდიან და კლიმიაშვილის განცხადებით, აღნიშნული პირები ებრალიძის კონგრესში მონაწილეობას არ მიიღებენ.



— იქ პოლიტიკოსები არავის დაუპატიჟებია, მათ თვითონ განაცხადეს, რომ უნდოდათ რუსეთში ჩასულიყვნენ და ვითარებას ადგილზე გაცნობოდნენ. ისინი არ არიან კონგრესზე მიწვეულები და დარბაზში შეუშვებენ თუ არა, არ ვიცი. ისინი თავისი ინიციატივით მიდიან. თუ შეხვედრაზე რაღაც არ მომეწონება პეტერბურგი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქალაქია და მის ქუჩებში ვისეირნებ, სადაც უკვე დიდი ხანია არ მისეირნია, - განაცხადა კლიმიაშვილმა.

საპირისპიროს ამტკიცებს „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია. მისი თქმით, მან პირადად მიიღო მიწვევა ებრალიძისაგან და შეხვედრაზე აპირებს იმ პოლიტიკურ კრიზისზე ისაუბროს, რომელიც მისი თქმით, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს შეიქმნა.

აღნიშნულ კონგრესზე საქართველოდან 40-დან 60 კაცამდე დაკომპლექტებული დელეგაცია მიემგზავრება. დელეგაციის ნაწილი, მათ შორის სავარაუდოდ მწერალი ელიზბარ ჯაველიძე სანკტ-პეტერბურგში დღეს გაემგზავრება.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ წკეპლიკები

# „სკრა — ქარელი — აგარა — გორი“...
(ძველი სიმღერიდან)

**შორეულ ბავშვობაში ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნი იყო „პირველნი პოლუსზე“ (ავტორი არ მახსოვს): ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გზის გამკვალავებზე, ლეგენდარულ მოგზაურებზე როალდ ამუნდსენსა და ვალტერ სკოტზე.**

ნორვეგიის სასიქადულო შვილმა „ტრანსპორტად“ ძაღლები აირჩია და გაუმართლა კიდევაც — პირველმა დაიპყრო, მამაც თანამგზავრებთან ერთად, ჩრდილოეთის უკიდურესი წერტილი. გამოჩენილ ინგლისელს კი პონებმა არ გაუმართლეს, გზაში დაიხოცნენ. ვალტერ სკოტი პოლუსზე მიუღწევლად დაიღუპა.

...ისინი გამახსენა ჩვენი დროის დაუღალავმა მოგზაურმა, ოღონდ კომფორტული პირადი „ბოინგით“, მიხეილ სააკაშვილმა; ახლახან საქართველოს ჩაუქმა, ძრავჩაუქრობმა მიმომფრენმა ხომ სრულიად ახალი გზა აღმოაჩინა და გაკვალა პოლონეთისაკენ: აშშ — პორტუგალია — იტალია — თურქეთი — საქართველო — უკრაინა — ხუთი ქვეყნის ტრიუმფალური, თუმც ძირსდაშვებული გავლით.

ერთი რამ დარჩა ჩემთვის დაბურულებული: ეს რატომ ვერ მოიფიქრეს ცხონებული ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე დასწრების მოსურნე ბარაკ ობამამ და სილვიო ბერლუსკონიმ; მათი მშობლიური ქვეყნები აშშ და იტალია ხომ „სააკაშვილის მარშრუტში“ შედიოდნენ! ან თავად მიშა-ბატონმა რატომ არ „აიყვანა“ ისინი თავის ლაინერში და თან არ „წაიყვანა“.

ვერ მივხვდი და ჰე, ახლა!..

# ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან...

**მკითხველს უნდა მოვუბოდიშო საკუთარი პუბლიკაციის ციტირებისთვის, მაგრამ მჭირდება: ამას წინათ ჩვენს გაზეთში პატარა წერილი გამოვაქვეყნე სათაურით „როდემდე უნდა გვამასხარაონ იანკებმა“. ახლახან მივიღე კიდევაც პასუხი: როდემდე და განუსაზღვრელი ვადით, ყოველ შემთხვევაში, როდემდეც მოესურვებათ, მოეპრიანებათ, საჭიროდ ჩათვლიან.**

აგერ, მიიწვიეს საქართველოს პრეზიდენტი ჰარვარდის უნივერსიტეტში, ზარ-ზეიმით დახვდნენ, მოხსენებით გამოიყვანეს, ქებით ცაში აიყვანეს, საპატიო დოქტორად აკურთხეს. არადა, რაში ფული და რაში დიპლომი?..

თურმე იმაში, რომ აქამდე თუ საქართველო მსოფლიოში დემოკრატიის შუქურა იყო, ახლა უკვე დემოკრატიის ჩემპიონიც გამხდარა და იმისმა ლიდერმა არაჩვეულებრივი მმართველობის ნიჭი გამოავლინა ამ წლების განმავლობაში.

იანკებო, დაგიმშვენდათ ისე ცხვირი!.. მე, რიგით ქართველს, თითქოს უნდა მეამაყებოდეს ჩემი პრეზიდენტის ასეთი განპატივება-განდიდება, მაგრამ კარგად რომ ვხედავ და ვიცი, რაც აქ ხდება, „შუქურ-ჩემპიონში“ და მისი შუქურ-ვარსკვლავი და გამჩემპიონებელი ვინც არის და რაც არის?.. რა, ოკეანის გაღმიდან არა ჩანს? იქიდან ბნელა?..

...განსაკუთრებით ეფექტურად გამოჩნდა ეგ ხანგრძლივი ტაში და ფეხზე ყველას აღდგომა, ეგ განპატივება-განდიდება, ეგ დოქტორის მანტიის მოსხმა 13 მარტის ავადსახსენებელი, ყბადაღებული და მთელს მსოფლიოში გახმაურებული თბილისური მოდელირება-მოტივირების ფონზე და შემდეგ...

ლუკა გორგაძე

◉ აქტუალური ინტერვიუ



***სეპარატისტული** აფხაზეთის ე. წ. პოლიტიკური ელიტა გაჩერებას არ აპირებს, აფხაზური საზოგადოება პრაქტიკულად უმწეო მდგომარეობაში დღითი დღე ეფლობა. საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში ჯერჯერობით კონკრეტული შედეგი არ მოუტანია, მეტიც, სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების მიხედვით, შედეგის პერსპექტივაც ბუნდოვანია. ამის ფონზე საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებთან მიმართებაში თითქოს განელდა, ყოველივეს კი შედეგად შესაძლოა მოჰყვეს ის, რომ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარების მომხრე ქვეყნების რიგს კიდევ რამდენიმე ქვეყანა შეემატოს. ამ და სხვა საკითხებზე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა საუბრობს.*

# თუ აფხაზებს ჯერ კიდევ შერჩათ გონება, მათ შემორიგებას შევძლებთ

**— ბატონო გია, თუ გაქვთ ინფორმაცია, რა მდგომარეობაა დღეს აფხაზეთში, რა განწყობაა?**

— აფხაზეთის მოსახლეობაში განწყობა, რა თქმა უნდა, უარყოფითია გაჭირვებაა, არ არის სამუშაო ადგილები. მათ ეგონათ, რომ „დამოუკიდებლობა“ მათ ეკონომიკას ძალიან სწრაფად და უცებ წასწევდა წინ ეს ასე არ მოხდა. რაც მთავარია, აფხაზური ეთნოსის ნამდვილი წარმომადგენლები უკვე აცნობიერებენ, რომ მათ ეთნოსს გაქრობა ემუქრება. აფხაზური საზოგადოება უმწეობისა და უიმედობის ჭაობში დღითი დღე ეფლობა.

თავდაპირველად ისინი ეიფორიის ქვეშ იყვნენ, მაგრამ ეიფორიამ გადაიარა და დღეს აფხაზი ხალხი კარგად ხედავს, რა ხდება მათ თავს. აფხაზეთში მალე იგეგმება კაზაკების ჩასახლება, აშენდება რუსული ბაზები და დასასვენებელი ზონა პრაქტიკულად მილიტარისტულ ზონად გადაიქცევა.

ეკონომიკურად აფხაზეთი რუსეთისთვის ისეთი მძიმე საკითხი ნამდვილად არ არის, რომ მან მისი ფეხზე დაყენება ვერ შეძლოს. ჯერ თავად რეგიონს აქვს საოცარი შესაძლებლობები, რეკრეაციული საშუალებები, იგივე მადნეული, იქ ვერცხლისწყალია, ნავთობსაც მიაკვლიეს. ასევე არის ქვანახშირი და რაც მთავარია, იქ წყალია, რომელიც ძალიან მალე ნავთობზე ძვირფასი გახდება.

რეალურად მოსკოვი შეძლებს იმ 100-150 ათასი კაცის ფეხზე დაყენებას და მისთვის ეს პრობლემა არ არის. იქ ფული უკვე ჩადეს რუსმა ბიზნესმენებმა, მაგრამ ხალხი ხვდება, რომ ყოველივე ეს მათთვის არ კეთდება. ისინი აცნობიერებენ, რომ ყოველივეს შედეგად მშვიდად და წყნარად მათი ასიმილაცია მოჰყვება.

**— ამას, ალბათ, ხვდება აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლებაც?**

— მინდა აღვნიშნო: დღეს აფხაზეთის საზოგადოება და აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლება ანუ პოლიტიკური ელიტა გაყოფილია. ეს მეორე ნაწილი, სწორედ ის ე. წ. ელიტაა, რომელმაც პრაქტიკულად მოაწყო ეს ყველაფერი. მათთვის უკან დასახევი გზა აღარ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხვდებიან, რაც გააკეთეს.

თუმცა მიუხედავად ამისა, როგორც იტყვიან, ზოგი მათგანი სისხლშია გასვრილი, ზოგს კიდევ სხვა ინტერესები აქვს. ის ე. წ. ელიტა, რომელიც ახლა არის აფხაზეთში, არ გაჩერდება და ბოლომდე წავა.

**— რამდენად ძლიერია აფხაზური ოპოზიცია და რამდენად ძალუძთ მათ სურათის რეალურად შეცვლა?**

— აფხაზეთში ოპოზიცია ძლიერი არასოდეს ყოფილა. ახლა შედარებით გაისმა მათი ხმა, მაგრამ ზოგი უკმაყოფილოა არჩევნებით, ზოგი კიდევ სხვა საკითხებით, ხოლო ისე, რომ ოპოზიცია გამოვიდეს და თქვას, რეალურად რა ხდება ეს ძალიან იშვიათად ხდება. იქ უფრო კლანური ბრძოლაა, ვიდრე ეროვნული კუთხით ოპოზიციური გამოსვლები.

**— აფხაზეთში ხორციელდება რუსული ინვესტიციები. როგორია მათი პერსპექტივა ამ რეგიონში და რამდენად სიცოცხლისუნარიანი და ხანგრძლივვადიანი შეიძლება იყოს ისინი?**

— რუსეთი აფხაზეთს თავის რეგიონად მიიჩნევს და პრაქტიკულად იგი ასეთადაც არის გადაქცეული ამჟამად. ასე იქნება, ვიდრე რუსეთი იბატონებს იქ.

**— როგორ შეაფასებთ საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, რომელიც აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კავშირების დამყარებას ითვალისწინებს?**

— მე თვითონ ვმონაწილეობდი ამ სტრატეგიის დამუშავებაში, განხილვაში. ახლა რომ გითხრათ, ეს სტრატეგია რაღაცას რადიკალურად და ძალიან სწრაფად გადაწყვეტს ამისი მოლოდინი არ უნდა იყოს, მაგრამ ისიც, რომ სხვა გზა არ არის და ამ გზით უნდა ვიაროთ, ესეც აქსიომაა. პირველ ყოვლისა, იქ არის საუბარი პირდაპირ კონტაქტზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ ადამიანებთან.

**— უფრო კონკრეტულად...**

— კონკრეტული ნაბიჯები ბევრ საკითხში იქნება. ეს არის ეკონომიკა, კონფლიქტური რეგიონების საზღვრისპირა რაიონებში ოფშორული ზონების შექმნა, არის კულტურის საკითხები, ჯანდაცვისა და განათლების საკითხები — ერთი სიტყვით, ეს სახალხო დიპლომატიაა, რომელიც უფრო მაღალ დონეზე იწევს, ყოველივე კი ქართული პოლიტიკით უნდა გამართლდეს. ეს ყველაფერი იძლევა საშუალებას, რომ როგორც იტყვიან, პროცესში ვიყოთ, თვალი ვადევნოთ, შევხვდეთ, იმიტომ, რომ იზოლაცია არაფერი კარგის მომტანი არ არის.

ზოგი საკითხი უკვე მუშაობს, მაგალითად, მედიცინის საკითხი — დღე არ გავა, რომ იქიდან ვინმე არ გამოგვეხმაუროს და ავადმყოფი არ გადმოვიდეს. საკმაოდ ბევრ გადმოდის. საქართველოს მთავრობა, ექიმები, ფედერალური სამსახურები და ასევე აფხაზეთის მედიკოსები თავს არ ზოგავენ, რომ დაეხმარონ ამ ადამიანებს. ზოგჯერ უკმაყოფილებაცაა, რომ თვითონ დევნილებს ისე ვერ ვეხმარებით, როგორც იქიდან გადმოსულებს.

ასე რომ, თუკი ოფშორული ზონები შეიქმნა, რომლებიც თავისი განრიგით, წესდებით ყოველთვის უფრო მიმზიდველია, თუკი საქართველო შეძლებს გააკეთოს ეს და მიმზიდველი ეკონომიკური სიტუაცია შექმნას, შედეგი იქნება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რთულია მდგომარეობა და საქართველოს სიბრძნე და მოთმინება მართებს.

**— პირადად თქვენ რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო საზოგადოების პოზიციით აფხაზეთთან დამოკიდებულებაში?**

— მსოფლიო ამ პრობლემას, რა თქმა უნდა, ყურადღებას აქცევს. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში არაღიარების პოლიტიკა გრძელდება, მაგრამ ეს პროცესი დროში ძალიან დიდხანს თუ გაიწელა, ალბათ, კიდევ გამოჩნდება ვიღაც, ვინც აღიარებს აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობას, მერე დსთ-იდან შეიძლება გამოჩნდეს ვინმე, ვინც მათ თავისი მერკანტილური მიდგომებიდან გამომდინარე აღიარებს.

**— როგორ ფიქრობთ, შევძლებთ აფხაზი ხალხის შემორიგებას ქართველები?**

— ვნახოთ, ვცადოთ, თუკი ჯერ კიდევ გონება შერჩათ, მაშინ შევძლებთ.

ესაუბრა
**ეკა მომცელიძე**




◉ თვალსაზრისი

# საქართველოში შიდა დაპირისპირება დანაშაულად მიიჩნეოდა და კარგ ტონად არასდროს ითვლებოდა

(მესამე გვერდიდან)

**— ბევრს საუბრობენ საქართველოში ყირგიზეთის სცენარით მოვლენათა განვითარების ალბათობაზე. რამდენად პოპულარულია საზოგადოებაში, ანუ იმავე ამომრჩეველში ხელისუფლების შეცვლის რევოლუციური გზა?**

— ეს თემა ძალიან აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო აქტუალური გახდება. ოპოზიცია ხელისუფლებას სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით ებრძოდა, მაგრამ თავის მხრივ ხელისუფლებამ ოპოზიციის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით ძალა გამოიყენა და ამით აჯობა ოპოზიციას.

ოპოზიციამ 200 ათასი კაცი კი გამოიყვანა ქუჩაში, მაგრამ მერე იმავე ხალხს სახლში წასვლა თხოვა. ოპოზიცია ასე იმის გამო მოიქცა, რომ არ იცოდა რა ექნა და რა ეთქვა ხალხისთვის. მაშინ ნათელი არ იყო ოპოზიციის ამოცანა და ოპოზიციამ არ იცოდა, თუ როგორ შეიძლება დაესრულებინა ხელისუფლებასთან ბრძოლა. ოპოზიციის ლიდერები დღესაც ამბობენ, რომ არჩევნების წინა დღეს იტყვიან არჩევნების დასრულების შემდეგ თავიანთ ამოცანებზე. ჩემი აზრით, ოპოზიცია ახლაც ვერაფერს ვერ იტყვის, რადგანაც მან ახლაც ისევე არ იცის, რა უნდა აკეთოს, როგორც ეს 2008 წლის იანვარში არ იცოდა. არ იციან იმიტომ კი არა, რომ უცოდინარები არიან, არამედ იმიტომ, მათ კარგად იციან, რომ ქართველი ხალხი, შიდა პრობლემების მოსაგვარებლად ძალის გამოყენების წინააღმდეგია. ჩვენი ეროვნულობა და ერთიანობა ყოველთვის იყო მიმართული დამპყრობლის წინააღმდეგ და შინაგანი ერთიანობისკენ.

შიდა დაპირისპირება ბერძნების საქმე იყო. როდესაც მათ დემოკრატია დაამკვიდრეს და თავის უფლებებში ყველა ადამიანი გაათავისუფლეს და გაათანაბრეს, დემოკრატიის დამკვიდრებამ, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირა. ჩვენში ეს არ მომხდარა. ურიგო არ იქნებოდა, თუ ხელისუფლება და ოპოზიციაც გაიხსენებდნენ, რომ საქართველოში შიდა დაპირისპირება ყოველთვის დანაშაულად მიიჩნეოდა და კარგ ტონად არ ითვლებოდა.

ხელისუფლებასთან ბრძოლაში ოპოზიციას პერსპექტივა იმის გამო არა აქვს, რომ იგი ისეთ რამეს ვერ გამოიგონებს, რითაც სამართლიანობის თვალსაზრისით, აჯობებს ხელისუფლებას. ხელისუფლებას ჰყავს ჯარი, პოლიცია და დამცველი ორგანოები. ხელისუფლებას სამართლიანად მხოლოდ თავის თავი მიაჩნია, ამიტომ წინასწარვე ცნობილია, რომ ოპოზიცია არჩევნებში სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევს.

თავისუფლების ქარტია 30 მოთხოვნას აყენებს და თუ ესენი არ შესრულდა, მასში ბოლოს ნათქვამია, რომ ხალხი უფლებამოსილია დაამხოს თავისი ხელისუფლება. ეს მძიმე დებულებაა, ეს არ არის ჩვენთვის ბუნებრივი. ხელისუფლების დამხობის ამოცანა საქართველოში თითქმის არასდროს ყოფილა ჩვეულებრივი და მოსაწონი საქციელი. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ — **მართალია, ხელისუფლება არჩევნებში გამარჯვების არანაირ შანს არ გვიტოვებს, მაგრამ რევოლუციის გზა ჩვენთვის მიუღებელიაო. ფაქტიურად, ოპოზიცია გაორებულია. თითქოს ძალით ხელისუფლების დამხობის მომხრენი არიან, მაგრამ ამის ოფიციალურად თქმა იმის გამო არ შეუძლიათ, რომ ეს ქართულ ტრადიციას და ხასიათს არ შეესატყვისება. ასეთი ვითარება მანამდე არ შეიცვლება, სანამ თავად ხელისუფლება არ შეეცდება არ გამოიყენოს ძალა იქ, სადაც არ უნდა გამოეყენებინა. ხელისუფლებამ ერთხელ შეცდომა დაუშვა, როცა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა. ჩემი აზრით, მეორე შეცდომას ხელისუფლება არ გაიმეორებს, თუ ოპოზიციამ რაღაც ისეთი არ გააკეთა, რაც ქვეყანაში არეულობას გამოიწვევს.**

**კობა ბენდელიანი**

◉ ინფორმაცია

## სესიაშვილი პოლიტიკოსთა ვოიაჟებს პოზიტიურად არ აფასებს



**პოლიტოლოგ** ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, ქართველი ოპოზიციონერი ლიდერების რუსეთში ვიზიტები არა სახელმწიფოებრივ, არამედ შიდაპოლიტიკურ ინტერესებზეა გათვლილი.

— რიგი ქართველი ოპოზიციონერის მოსკოვში ვოიაჟებს პოზიტიურად ვერ ვაფასებ. მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერს ვიწროპოლიტიკური ფონი გასდევს.

ვფიქრობ, ისინი იმ ნიშის ამოვსებას ცდილობენ, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებამ თავისი არასწორი პოლიტიკით რუსეთთან მისასვლელი გზები დაკარგა. გარკვეული ძალები ფიქრობენ, რომ ამ ნიშის ამოვსებით შეიძლება იმათი ხმები მოიპოვონ, რომლებიც ჯერ კიდევ ჩრდილოეთისკენ იცქირებიან. სხვათა შორის, ნატოს საინფორმაციო ცენტრმა საინტერესო კვლევები მომაწოდა, რომლის მიხედვითაც, რუსეთისკენ არც თუ ცოტა ადამიანი იცქირება — საუბარია მოსახლეობის 10-დან 25 პროცენტამდე, რაც არც თუ ცოტაა, იმის გათვალისწინებით, რუსეთთან რა დამოკიდებულებაშიც ვიმყოფებით. აქედან გამომდინარე, იმ პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებიც რუსეთში დადიან, თუნდაც ხმების ამ 25 პროცენტზე მუშაობა მომგებიანია, თუმცა მიმაჩნია, რომ შიდაპოლიტიკაში ქულების მტერთან თანამშრომლობითა და მასთან ურთიერთობით დაგროვება არასწორია, — განაცხადა სესიაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ჟურნალისტური გამოძიება

# ოპოზიციონერები არიან თუ ხელისუფლების სატელიტები?

**ლაპარაკია საპარლამენტო ოპოზიციაზე, რომლის მოქმედება და საქართველოს მოსახლეობისთვის მოჩვენებითი თავგანწირვა საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ მისი წევრები სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგენი კი არა, ფაქტობრივად, მისი სატელიტები და ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა თანამონაწილენი არიან. რა გვაძლევს მათთვის ასეთი ბრალდების წაყენების საბაბს?**

2006 წლიდან მოყოლებული, ჩვენი სააგენტო სამამულო საავტომობილო გზების დარგში შექმნილ სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით ატარებს ჟურნალისტურ გამოძიებას და მოპოვებულ მასალებს სისტემატურად აქვეყნებს პერიოდულ პრესაში. დოკუმენტურ ფაქტებზე დაყრდნობით ვამხელთ ხელისუფლებას და მსოფლიო ბანკს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ შეთქმულებაში – ეკონომიკურ დივერსიაში, რის შედეგად ხსენებული დარგი ინგრევა, მისი ცალკეული ორგანიზაციები კოტრდებიან, პროფესიული კადრები ქვეყნიდან გარბიან, მათ ადგილს კი უცხოური ორგანიზაციები და სპეციალისტები იკავებენ.

ასეთ ვითარებაში ხელისუფლება თავს უფლებას აძლევს, სავსებით უგულებელყოს ჩვენი ბრალდებები, ჩვენს საგაზეთო სტატიებსა და კორესპონდენციებში დასმული მტკივნეული საკითხები, როგორც იტყვიან, ერთი ყურიდან შეუშვას და მეორედან გამოუშვას.

როგორ იქცევა ამ შემთხვევაში საპარლამენტო ოპოზიცია?

2009 წლის ოქტომბერში ჩვენმა სააგენტომ წერილობით მიმართა მის ლიდერებს – **ჯონდი ბაღათურიას, პეტრე მამრაძეს, გია თორთლაძეს, დავით ლორთქიფანიძეს, გიორგი ცაგარეიშვილს, პაატა დავითაიას და გიორგი თარგამაძეს. მათ კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით ვაცნობეთ საავტომობილო გზების დარგში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ, მოვითხოვეთ მისი პოლიტიკური შეფასება და მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში სათანადო სამართლებრივი რეაგირება.**

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო მათ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, გზებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისგან, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარეებისგან, ქვეყნის მთავარი პროკურატურისგან მიეღოთ სრული და ამომწურავი პასუხი ჩვენს მიერ დოკუმენტურად დადასტურებულ ყველა ბრალდებაზე.



კერძოდ, უნდა შესწავლილიყო მსოფლიო ბანკის წესდება (დებულება), მის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მიზნები და ამოცანები, რის საფუძველზეც წაუყენებდნენ ბრალდებას, რომ ის არ ასრულებს წესდებით დადგენილ მოთხოვნებს, მოქმედებს კანონის საწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად, მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოს ნგრევაში, რაც ხსენებულ ბანკს არა მარტო საქართველოსთან, მსოფლიოსთან მიმართებაში მრავალჯერ გაუკეთებია;

ასევე უნდა შესწავლილიყო და დაგმობილიყო საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, რომლებშიც ფიქსირდებოდა მხარეთა არათანასწორი უფლება-მოვალეობები, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სამართალს და გაეროს შესაბამის ნორმატიულ აქტებს.

ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე, აგრეთვე საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით სრული და ამომწურავი პასუხი უნდა გასცემოდა კითხვას: **რითი ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტი, როცა დათანხმდა ქვეყნისთვის საზიანო ხელშეკრულებების რატიფიკაციას?**

ყოველივე ამის შემდეგ ქვეყნის კონტროლის პალატის, მთავარი პროკურატურის და საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროსაბჭო, ჰააგის ტრიბუნალი, სტრასბურგის სასამართლო) ჩარევის საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა მსოფლიო ბანკის მიმართ საჯარიმო-სადამსჯელო სანქციების გატარების აუცილებლობის თაობაზე მოთხოვნის წაყენება.

**დასმული ამოცანების გადასაჭრელად, რომელთა აქტუალობა ქვეყნისა და ხალხისთვის საკამათო არ არის, საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს და მის წევრებს უნდა ჰქონდეთ სათანადო იურიდიული და ეკონომიკური განათლება, პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია. თუმცა ძნელია მათ განათლებასა და კვალიფიკაციაზე, საქმისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებაზე ვისაუბროთ მას შემდეგ, რაც ჩვენთან ურთიერთობისას გამოამჟღავნეს. კერძოდ:**

ჩვენთან სატელეფონო საუბარში ოპოზიციონერმა პარლამენტარმა **ჯონდი ბაღათურიამ** განაცხადა, რომ აღნიშნული მიმართვის შესახებ არაფერი იცის. მას შემდეგ კი, რაც დავადგინეთ, რომ პარლამენტის კანცელარიაში ხსენებული მიმართვა პირადად ჩაბარდა 2009 წლის ოქტომბერში, შეგვპირდა, რომ გაეცნობოდა და პასუხსაც გამოგვიგზავნიდა, მაგრამ...

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში პარლამენტარმა **პეტრე მამრაძემ** გვაცნობა, რომ ჩვენი წერილი მიიღო და რადგან ამ საქმის სპეციალისტი არ არის, მას გადასცემდა პოლიტიკური ორგანიზაციის „სამართლიანი საქართველოს“ წევრებს (საავტომობილო გზების დარგის სპეციალისტებს), რომლებიც შეისწავლიდნენ მიმართვაში მოყვანილ ფაქტებს და ამის შემდეგ მოგვწერდა პასუხს.

**დღემდე ველოდებით, პასუხი კი არ ჩანს.**

ბატონმა **გია თორთლაძემ** გვაცნობა, რომ მიმართვაში მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან, რომლის შესწავლისა და სათანადო ზომების მიღების მიზნით წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. **თუმცა შემდეგ წერილის ბედით არ დაინტერესებულა და პასუხი არც ჩვენთვის უცნობებია.**

ჩვენი პატრიოტული საქმიანობით გამოწვეული **დიმიტრი ლორთქიფანიძის** აღფრთოვანება კი იმით დამთავრდა, რომ მიმართვა პარლამენტის ანტიკრიზისულ საბჭოს გადაუგზავნა, რომელსაც საკუთარი დებულების მიხედვით უფლება აქვს, გასცეს მხოლოდ რეკომენდაციები, რომელთა შესრულება აუცილებელი არ არის.

სხვაგვარად მოიქცა დეპუტატი **გიორგი ცაგარეიშვილი.** მან მიმართვასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ჩაატარა ბრიფინგი და ჩვენთან ერთად შედგენილი წერილები ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, გზებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს. ბატონმა გიორგიმ ხსენებული ორგანიზაციებიდან მიიღო პასუხი, რომელთა ასლები გადმოგვცა. თან დასძინა, რომ მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებები და შესაძლებლობები ამით ამოიწურება.

პარლამენტარმა **პაატა დავითაიამ** დაგვიანებით ორი წერილი გამოგვიგზავნა. პირველით მან გვაცნობა, რომ იზიარებს ჩვენს პოზიციას და მიმართავს მთავარ პროკურორს, რათა მან ჟურნალისტურ გამოძიებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრას სისხლის სამართლის საქმე. მეორე წერილში კი განგვიმარტა, რომ ჩვენს მიერ დასმული საკითხების პოლიტიკური შეფასება მისი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პრეროგატივაში არ შედის.

ანალოგიური ფანდით მოგვიცილა თავიდან ბატონმა **გიორგი თარგამაძემაც,** რომელიც გვპირდებოდა, რომ საკითხს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გაიტანდა საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე, მაგრამ ამის გაკეთება რატომღაც დღემდე ვერ მოხერხდა. ისე კი ახლაც გვპირდება „მოვიცლით და რაღაცას გავაკეთებთო“.

**ბოდიში გვინდა მოვიხადოთ მკითხველს წინაშე, რომელიც ოპოზიციონერ პარლამენტართა „საქმიანი პასუხების“ გაცნობით გადავღალეთ, მაგრამ ეს ერთი მიზნით გავაკეთეთ. ისინი რომ ბაქიბუქობენ და გვეტრაბახებიან – ხალხის ბედ-იღბალზე ზრუნვაში ვათენ-ვაღამებთო, ხომ გამოჩნდა, ფაქტობრივად, ვისი სატელიტები და რისი გამკეთებლებიც არიან?**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.**





◉ სახაზინო ვალდებულებები

# წლეულს ასი მილიონით მეტი...

**რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ შარშანდელი სახაზინო ვალდებულებების გამოშვების პირველი პროექტის სოლიდურმა წარმატებამ ამ მიმართულებით მოქმედების დამატებითი სტიმული წარმოშვა.**

სახაზინო ვალდებულებათა ემისიის ნაყოფიერება, უწინარესად, იმით გამოიხატა, რომ აუქციონების დროს კომერციულმა ბანკებმა ამ ფასიანი ქაღალდებით მანამდე არნახული დაინტერესება გამოიჩინეს. აღსანიშნავია, რომ სახაზინო ვალდებულებებზე მოთხოვნა დაახლოებით სამჯერ და მეტად სჭარბობდა შეთავაზებას. სწორედ ამან განაპირობა, რომ შარშანდელ წარმატებებზე ლაპარაკისას ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სხვათა შორის, ხაზს უსვამენ ასევე სახაზინო ვალდებულებების წარმატებული პროექტის განხორციელებასაც. ამდენად, შარშანდელი წარმატებით ფრთაშესხმული **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური წლეულს 370 მილიონი ლარის ოდენობის ფასიანი ქაღალდების გამოშვებას გეგმავს, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 100 მილიონი ლარით აღემატება.**

უნდა ითქვას, რომ შარშანდელ სახაზინო ვალდებულებათა 270-მილიონიან ემისიაში ექვსთვიანი ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 190 მილიონი ლარი, ხოლო ერთწლიანების – 80 მილიონი ლარი შეადგინა. სახაზინო სამსახურის განცხადებით, კომერციულ ბანკებს შორის საკმაოდ დიდი კონკურენციის შედეგად, **ფასიან ქაღალდებზე შემდეგი წლიური საშუალო შეწონილი პროცენტები დადგინდა: ექვსთვიან სახაზინო ვალდებულებებზე – 5,43 პროცენტი, ხოლო თორმეტთვიან სახაზინო ვალდებულებებზე – 7,9 პროცენტი.**

ასევე აღსანიშნავია, რომ სახაზინო სამსახურის მიერ გამართული ფასიანი ქაღალდების აუქციონებზე სახაზინო ვალდებულებების აბსოლუტურმა უმეტესობამ, დაახლოებით 85 პროცენტმა, საქართველოს სამ ყველაზე მსხვილ კომერციულ ბანკში მოიყარა თავი. ესენია, კერძოდ, ყოფილი „სახალხო ბანკი“ (ამჟამად „ლიბერთი ბანკი“), „თიბისი ბანკი“ და ბანკი „რესპუბლიკა“.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შარშან ეროვნული ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა კარგმა შედეგმა ქვეყნის ფინანსისტებს აფიქრებინა, რომ სახაზინო ვალდებულებებზე მოთხოვნა წლეულსაც მაღალი იქნება, ამიტომ დაგეგმილია 370 მილიონი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდის ემისია. ცალკე აღსანიშნავია, რომ ამ 370 მილიონიდან 10 მილიონი ლარის ოდენობის კუპონური ობლიგაცია ორწლიანი ვადისა იქნება. ფინანსური ბაზრისთვის ამ ერთობ მნიშვნელოვანი სიახლის განხორციელება უკვე თებერვლის დამდეგიდანაა დაწყებული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელი სახაზინო ვალდებულებები მთელი წლის მანძილზე დადგენილი გრაფიკის შესაბამისად დაიფარება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ წინასაარჩევნო პანორამა

# ჩვენ დაფინანსებული ტყუილებით ვიკვებებით



**ვიცი შემომედავებიან. გასაგებია, რომ ახალი საწარმოს გახსნას, ბიზნესის წამოწყებას, საცხოვრებელი სახლისა თუ საავადმყოფოს აშენებას გარკვეული რაოდენობის თანხები ესაჭიროება, მეტყვიან ისინი, მაგრამ ტყუილებს რომელი ჭკუათმყოფელი დააფინანსებსო. რომელი, ბატონებო, და ჩვენი, ქართველი ჭკუათმყოფელები, რომელთა ნაკლებობას ჩვენი ხელისუფლება, დამერწმუნებით, სულაც არ განიცდის და რომელთა წყალობითაც, უკვე მერამდენე წელია, დაფინანსებული ტყუილებით ვიკვებებით.**

კაცი ორივე თვალით ბრმა, დაუნახავი და კიდევ უფრო უარესი – უმადური უნდა იყო, ვერ შეაფასო ქართველ ხელისუფალთა ის გაუნელებელი ენთუზიაზმი, საქვეყნო საქმისადმი წვა და ღვწა, რასაც ისინი დიდი მონდომებითა და სიბეჯითით ტყუილების პერმანენტულ თხზვას ახმარენ. იმედია მაგალითების ჩამოთვლას და გვარების დასახელებას არ მომთხოვთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს პატარა საგაზეთო წერილი, ძალიანაც რომ ვეცადო, მარტო პრეზიდენტის ტყუილებსაც ვერ დაიტევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ სფეროში პრემიერის, ცალკეული მინისტრებისა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთა უტყუარ ტყუილთმხზველობაზე.

რა თქმა უნდა, ამდენ ტყუილთა შორის ზოგჯერ გამოერევა ხოლმე „რეალური ტყუილიც“, რომლის დაუნახაობას თავად ოპოზიციაც კი ვეღარ ახერხებს. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც დედაქალაქში მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადებული უნიკალური „შუშის ხიდი“, რომლის ანალოგი მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში არ მოიძებნება. არის უტყუარი ცნობა, რომ უახლოეს პერიოდში მსგავსი ხიდები გაიდება ქუთაისსა და ჭიათურას, ზესტაფონსა და ფოთს შორის, რაც საქართველოს მსოფლიოში ტურისტული ქვეყნის იმიჯს შესძენს.

ეს ყველაფერი მოხდება, რა თქმა უნდა, არჩევნების შემდეგ, მანამდე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის მთელი რესურსები გადართულია საარჩევნო ტყუილების შეთხზვა-რეალიზაციაზე. კარსმომდგარი არჩევნების წინ, ბუნებრივია, ყველამ (ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც) დაივიწყა კრიზისი, წყალწაღებული ქვეყნის ეკონომიკა, ხალხის გაუსაძლისი გასაჭირი და აქტიურად შეუდგა საარჩევნო კამპანიას, თანაც საკუთარი კი არა, ჩვენი ჯიბიდან გადახდილი ფულით.

ამის თქმის უფლებას იძლევა საქართველოს ხელისუფლების ქმედება, რომელიც დანგრეული ეკონომიკისა და სტაბილური ფასების ზრდის მიუხედავად, აქტიურად ამარაგებს თბილისის ბიუჯეტს, რათა მყვირალა საარჩევნო კამპანიისა და მამა-მამალი ტყუილების წყალობით, დამდეგ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ დაკარგოს. **უპრეცედენტოა როგორც თბილისისთვის გამოყოფილი ტრანსფერი, ასევე მთლიანად ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტი, რომელმაც 570,8 მილიონ ლარს მიაღწია. თვალში საცემია მეორე ციფრიც: 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გათვალისწინებული ტრანსფერების საერთო მოცულობამ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 34 პროცენტით მოიმატა.**

იბადება კითხვა: რაში იხარჯება დედაქალაქის გაზრდილი ბიუჯეტი, რომელიც ხალხის კისრიდან ამოღებული თანხებით ყელყელაობს ასე მაცდურად? არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენსავე მისატყუებლად არჩევნებში (როგორც თაგვს მიიტყუებენ ხოლმე სათაგურში ნიგვზის წამოგებით), რათა ხმა მივცეთ ხელისუფლების რჩეულებს. მისატყუებლად კი უამრავი ხერხი არსებობს, რასაც თბილისის მერია შესაშური ორიგინალობით იყენებს. ერთი მათგანია, მაგალითად, თბილისელი პენსიონერებისთვის 10 ლარის წამატება, რაც თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება და ამავდროულად დისკრიმინაციულია საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერთა მიმართ. მიმზიდველად გამოიყურება იმავე პენსიონერთათვის მედიკამენტების შესაძენად ვაუჩერების ჩამორიგებაც, რასაც, ერთგვარი სიკეთის ქმნის მიუხედავად, ანგარება არ აკლია. ცხადია, მერია ჩვენივე ფულს სხვადასხვა ფორმით იმ იმედით გვიბრუნებს, რომ ამ სიკეთეს ჩვენი მხრიდან ათმაგი სიკეთით (ხმის მიცემით) აინაზღაურებს.

მაგრამ არჩევნების მოსაგებად მარტო ეს არ კმარა, საჭიროა ისეთი ტყუილების შეთხზვა, რომელიც ხალხს სამომავლოდ უკეთესი ცხოვრების გარანტიას მისცემს. **ამის სპეციალისტებიც საკმაოდ მოეძებნება ხელისუფლებას. თუმცა სპეციალისტები რა სახსენებელია, როცა თავად თბილისის მერი გიგი უგულავა ამ საქმის შეუცვლელი პროფესიონალია. მან ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე წამოიწყო წინასაარჩევნო კამპანია, როცა განაცხადა, რომ თბილისში დასაქმების ახალი პროგრამა დაიწყებოდა. პროგრამაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმის გაკეთება კი მოახერხეს, რომ ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები გახსნეს და ხალხის დასაქმების მისია ამით ამოწურეს. სულ ცოტა ხნის წინათ უგულავას მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის იდეაც გაუჩნდა, რაც „სულაც არ უნდა ნიშნავდეს“ იმას, რომ ქალაქის მერმა სხვებთან ერთად ბიზნესმენთა გულის მოგებაც მოისურვა.**

სასწაულ დაპირებებს იძლევიან ოპოზიციური პარტიების „ემისრებიც“, რომელთაგან თბილისის მერობის კანდიდატი გია ჭანტურია (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია) გამორჩეულია. ფრიად მომხიბლავად გამოიყურება მისი სლოგანი: „გაზი – 10 თეთრი, დენი – 5 თეთრი, წყალი – უფასო“, რასაც სამთავრობო წრეები პოლიტიკურ პოპულიზმად აღიქვამენ, ხოლო ექსპერტები – სიმართლის მარცვლად. ამომრჩეველთა ერთი ნაწილი იმედის თვალით უყურებს ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ნოღაიდელის რუსეთში გახმაურებულ ვოიაჟებს და ამ ურთიერთობის გაღრმავება-განვითარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უკავშირებს.

თავიდანვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ყველა ეს ტყუილ-მართალი დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, რომელიც არჩევნებზე არა ხალხისთვის, არამედ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო კამპანიისთვის იხარჯება. **„მე მესმის, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილ ზოგიერთ პოლიტიკოსს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა სურს, მაგრამ არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფული ჩვენს ხალხსა და ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენას უნდა მოვახმაროთ და არა პოლიტიკოსების კამპანიას“.** შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს სიტყვები უტყუარად **მიხეილ სააკაშვილს** ეკუთვნის. იქნებ ჰკითხოთ, პრეზიდენტი ახლაც ასე ფიქრობს?

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ქმნა მართლისა სიმართლისა...

# რათა სასამართლოს გადაწყვეტილებები დროულად აღსრულდეს...

## აჭარაში პირველი კერძო აღმასრულებელი ამოქმედდა

**გუშინ თბილისში, სს „თი-ბი-სი ბანკის“ ერთ-ერთ ოფისში, გაიმართა „კერძო აღმასრულებელთა ასოციაციის“ პრეზენტაცია, რომელიც საქართველოში 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა. ამის საფუძველი გახდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები. რომლის მე-$14^6$ მუხლში აღნიშნულია, რომ „კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე“.**

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, კერძო აღმასრულებელს საჯარო, ანუ სახელმწიფო სააღსრულებო ბიუროსგან განსხვავებით საქმიანობის არეალად ქვეყნის მთელი ტერიტორია აქვს მიცემული, მაშინ როცა შესაბამის სახელმწიფო აღსრულების ბიუროს მხოლოდ ამა თუ იმ რეგიონში საქმიანობის უფლებამოსილება აქვს. დღეისათვის საქართველოში 37 კერძო აღმასრულებელია რეგისტრირებული. აქედან 35 თბილისში, თითო იმერეთსა და აჭარაში. ბათუმში არსებული კერძო სააღსრულებო ოფისს გამოცდილი იურისტი ილია ხონელია ხელმძღვანელობს, რომელსაც იურისპრუდენციაში საქმიანობის 20-წლიანი სტაჟი აქვს. „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში ილია ხონელიამ განაცხადა:

„დღიდან ჩვენი საქმიანობის დაწყებისა წარმოებაში მივიღეთ 25 საქმე, რომელთა დიდი უმეტესობა უკვე აღსრულებულია. ჩვენ ვემსახურებით მხოლოდ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: თუ სასამართლოს მიერ განხილული საქმის ერთი მხარე არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო მეორე მხარეა ფიზიკური პირი, ანუ მოქალაქე, სააღსრულებო საქმის წარმოება ჩვენ არ გვეხება. ასეთ საქმეს საჯარო სააღსრულებო ბიურო წარმართავს.

ჩვენ ვახორციელებთ საჯარო უფლებამოსილებას, მაგრამ ხელფასს არ ვღებულობთ ბიუჯეტიდან, თვითდაფინანსებაზე ვართ. ესე იგი კრედიტორთან (მთხოვნელთან) ვაფორმებთ ხელშეკრულებას, სადაც განსაზღვრულია ორივე მხარის უფლება-მოვალეობა და მომსახურების საზღაური, რაც შემდგომში ეკისრება მოვალეს. მხარე კანონის მოთხოვნის შესაბამისად მიიღებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და სააღსრულებო ფურცელს. მას შეუძლია მიმართოს როგორც საჯარო (სახელმწიფო) აღმასრულებელს, ასევე კერძო აღმასრულებელს.

**– სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ხშირად რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, მახსენდება შარშანდელი შემთხვევა. მაშინ ბათუმში უკრაინის კონსულმა მომმართა როგორც ჟურნალისტს, ჩავრეულიყავი ერთ დაუსრულებელ სააღსრულებო საქმეში. პატარა ფოთში მცხოვრები შერეული ოჯახი დანგრეულიყო. ოჯახის მამა ქართველი იყო, დედა – უკრაინელი, უკრაინის მოქალაქე, დავა მიმდინარეობდა 13 წლის შვილზე. სასამართლოს დადგენილებით გოგონას დედასთან უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება. დედას კი ბავშვს მამის მხარე არ აძლევდა. სამეგრელოსა და ფოთის სახელმწიფო აღმასრულებლებმა ვერა და ვერ მოახერხეს სასამართლოს დადგენილების აღსრულება. საქმეში არა მარტო საკონსულო, არამედ უკრაინის საელჩოც ჩაერია, რამდენადაც ვიცი, ეს საქმე დღემდე არაა აღსრულებული. მაშინ სააღსრულებო პოლიციაც ვერაფერს გახდა. თქვენ არც ადმინისტრაციული რესურსი გაგაჩნიათ და არც საკუთარი ძალოვანი სტრუქტურა, როგორ უმკლავდებით ურჩებს?**

– თქვენ მართალი ხართ, ჩვენს შემადგენლობაში არც პოლიციის რომელიმე დანაყოფია და არც სხვა ადმინისტრაციული რესურსი გვაქვს. თუმცა ხელცარიელები არა ვართ. საჭიროების შემთხვევაში კანონის შესაბამისად გვაქვს უფლება, მივმართოთ სააღსრულებო პოლიციას, რომელიც მისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. აუცილებლობის შემთხვევაში სააღსრულებო მოქმედებისას საქმეში ჩავრევთ საპატრულო პოლიციას. ასე რომ, ურჩ მოვალეებს იმის იმედი ნუ ექნებათ, რომ მათთან კერძო აღმასრულებლები მხოლოდ შიშველი ხელებითა და მარტო შეგონებებით მივლენ. ვიმეორებ, აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ მხარს გვიმაგრებს შესაბამისი ადმინისტრაციული დანაყოფები.

**– რატომ უნდა მოგმართოს თქვენ მოქალაქემ, როცა არის საჯარო სააღსრულებო ბიურო?**

– ბევრი ასპექტის გამო. მაგალითად: როგორც გითხარით, ჩვენი ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ კერძო საალმსრულებო ბიუროს მოქმედების გეოგრაფია შეუზღუდავია. მაგალითად, აჭარის სააღსრულებო ბიურო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე, კერძო აღმასრულებელი კი შეზღუდული არაა ტერიტორიულად. ჩვენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვმოქმედებთ. შეგვიძლია ყადაღა დავადოთ ქონებას და საბანკო ანგარიშებს, მოვალეთა რეესტრში დავარეგისტრიროთ მოვალე პირები, ხოლო ვალის გადახდის, ანუ საქმის აღსრულების შემდგომ, მოვალეთა რეესტრიდან ამოვრიცხოთ პიროვნება. ყველა სახელმწიფო და არა სახელმწიფო ორგანიზაცია, მიუხედავად მისი იურიდიული დაქვემდებარებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია, ითანამშრომლოს ჩვენთან და მოგვაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია. ფაქტობრივად ვმოქმედებთ, არც მეტი არც ნაკლები, საჯარო აღმასრულებლის კომპეტენციით.

ჩვენ მალე გადავალთ საქმის წარმოების ელექტრონულ ვერსიაზე. ამის თაობაზე უკვე არსებობს შესაბამისი ბრძანება. იქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი საქმიანობა დაექვემდებარება მონიტორინგს. ანუ კრედიტორს, ასევე მოვალეს (ჩვენს კლიენტსძ, ან ზედამხედველ ორგანოს შეუძლია ნებისმიერი ინფორმაცია ინტერნეტით მიიღოს აღმასრულებლის საქმიანობის შესახებ.

ხშირად საჯარო სააღსრულებო ბიურო ფიზიკურად ვერ ასწრებს სასამართლოს დადგენილებების დროულად აღსრულებას. წარმოიდგინეთ, თითოეულ სახელმწიფო აღმასრულებელს წელიწადში ათას ხუთასი და მეტი გადაწყვეტილება აქვს აღსასრულებელი. ამდენი საქმის დროულად დასრულება ფიზიკურად შეუძლებელია. ჩვენ კი ჯერჯერობით შედარებით თავისუფლანი ვართ და ნებისმიერი საქმის აღსრულება უმოკლეს დროში შეგვიძლია. ამასთან დაზღვეული ვართ „სამოქალაქო პასუხისმგებლობით“. ეს ნიშნავს შემდეგს: თუ ჩვენი უკანონო მოქმედებით კრედიტორს მიადგა ზიანი, მას შეუძლია იჩივლოს სასამართლოში და ჩვენგან მოითხოვოს ანაზღაურება. სადაზღვევო კომპანია კი მას შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფს.

სფერო, სადაც კერძო აღმასრულებელი ახორციელებს სააღსრულებო საქმიანობას, მეტად მრავალფეროვანია. სადავო ურთიერთობების დარეგულირება გვიწევს ცალკეულ ფიზიკურ პირებს, საწარმოებს თუ ბანკებს შორის...

**როგორც ილია ხონელია აცხადებს, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია სასამართლოთა გადაწყვეტილებების უპირობო და ხარისხიანი აღსრულება, რაც სასამართლოების პრესტიჟის ამაღლებისა და კანონის უზენაესობის გარანტიაა.**

**ამირან კილურაძე.**
„სრ“ საქ. კორ. ბათუმი

პოლემიკა

***გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 20 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ კრიტიკული მასალა „უცოდინარობა თუ უპასუხისმგებლობა?“, რომელშიც ლაპარაკი იყო ცხოველთა ვაქცინაციის დაგვიანებით ჩატარებაზე, სპეციალისტთა არაკომპეტენტურობასა და სხვა მიზეზებზე, რომელთა გამო პირუტყვის დაავადებათა შემთხვევები და დანაკარგები მატულობს.***

***ამის გამო „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის“ ხელმძღვანელმა მაია მეტრეველმა გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფაქტობრივად უარყო ამ სამსახურისადმი წაყენებული ბრალდებები. ამის გათვალისწინებით, „საქართველოს რესპუბლიკა“ ბეჭდავს საპასუხო წერილს, რომელიც მას „ჯი-ეიჩ-ენმა“ მიაწოდა.***

# რას ერჩის მაია მეტრეველი ხალხს, ქვეყანას და მის პერსპექტივებს?

„სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელობა საკუთარ არაკვალიფიციურობას კიდევ ერთხელ ადასტურებს, მაგრამ ამჯერად არა მხოლოდ ვეტერინარიის დარგში, არამედ ინფორმაციის აღქმის თვალსაზრისითაც.

საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენმა“ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ მასალაში ყურადღება გაამახვილა საქართველოს რამდენიმე რეგიონში ბრუცელოზის შემთხვევების დაფიქსირებაზე და იქვე მიუთითა, რომ „აღნიშნულზე „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურს“ ოფიციალური ინფორმაცია არ გაუვრცელებია და მოსახლეობა დაავადების რისკებთან დაკავშირებით არ გაუფრთხილებია. მეტიც – ამ დრომდე ცხოველთა გეგმიური ვაქცინაცია არ ჩატარებულა“.

მასალაში ასევე აღინიშნა, რომ საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით ეპიზოოტიური რისკის ზონაშია.

სამსახურის უფროსის მაია მეტრეველის განცხადებით, **„სააგენტოებმა ეს ინფორმაცია არასწორად გაავრცელეს და წინდაწინ რომ აეღოთ სწორი მონაცემები, ცუდი არ იქნებოდა. ბრუცელოზი სხვა არის და მის წინააღმდეგ შინაურ ცხოველთა აცრები არასოდეს ჩატარებულა, და თურქული კი – სხვა, რომლის ვაქცინირება დეკემბერში ჩატარდა.“**

იქვე მეტრეველმა განმარტა, რომ „ვაქცინის ჩამოსვლამ მართლა დააგვიანა და დეკემბერში მოგვიწია აცრა“.

მეტრეველს განვუმარტავთ, რომ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ კორესპონდენტმა მასალის მომზადებასთან დაკავშირებით მიმართა მის სამსახურს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. აქვე განვუმარტავთ, რომ მასალაში ის კი არ არის აღნიშნული, რომ გეგმიური ვაქცინაცია ბრუცელოზს შეეხება, არამედ მივუთითებდით ბრუცელოზის ფაქტებთან დაკავშირებით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უმოქმედობაზე და იმაზეც, რომ ამ დრომდე „ცხოველთა გეგმიური ვაქცინაცია არ ჩატარებულა“.

**„ვინც ეს დაგეგმა, იმას ვეტერინარიასთან, ალბათ, საერთოდ შეხება არ აქვს. თუ ეს იდეა ხელმძღვანელობიდან მოდის, მით უმეტეს, უარესი და დამღუპველია ქვეყნისთვის. როგორ შეიძლება, ივნისსა და დეკემბერში დაიგეგმოს ვაქცინაციის პროცესი, როცა ყველგან ტარდება ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე?“,** – აცხადებს ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი.



რატომ არ უნდა ვენდოთ ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორს და რატომ უნდა დავუჯეროთ მეტრეველს, რომელსაც ამ დარგში არავითარი განათლება არა აქვს?

ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მასალის არსი იყო ის გარემოება, რომ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნულ სამსახურს დღემდე არ ჩაუტარებია საგაზაფხულო ვაქცინაცია, მაშინ როდესაც ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი აცხადებს, რომ **„ახლა და აპრილის ბოლომდე ვაქცინაციის პროცესი უკვე დასრულებული უნდა იყოს“.**

იმას, რომ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახურის უფროსს ვეტერინარიის დარგი არ ესმის და მასში გარკვევასაც არ აპირებს, დარგის სპეციალისტებიც ადასტურებენ.

**„მე პიროვნულად არანაირი პრეტენზია არ მაქვს არც ქალბატონ მაია მეტრეველთან და არც მის მოადგილეებთან, მაგრამ არც ერთი მათგანი აღნიშნული დარგების სპეციალისტები არაა. როგორ შეიძლება, მენეჯმენტი მართოს ადამიანმა, რომელმაც ვეტერინარიის დარგი არ იცის?“** – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ თენგიზ ყურაშვილმა.

სპეციალისტი აცხადებს, რომ ვეტერინარია სპეციფიკური დარგია, დაკავშირებულია მრავალ სხვადასხვა გარემოებასთან, რომ ეს ფაქტორები ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს გამორიცხავენ და ზოგჯერ კი ავსებენ.

**„როცა ადამიანი ამ დარგის სპეციალისტი არ არის, მისთვის ძნელია ამ ფაქტორების გარჩევა. ხშირად მესმის, რომ ევროპასა და ამერიკას უნდა მივბაძოთ. აშშ-ის მეცხოველეობის დონე და გაძღოლის პრინციპები სრულიად განსხვავდება იმისაგან, რაც საქართველოშია. სპეციალისტმა ეს განსხვავებები უნდა იცოდეს და შესაბამისი დასკვნებიც უნდა გააკეთოს“,** – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ აკადემიკოსმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე აბსოლუტურად გასაგები ხდება, **თუ რატომ ცდილობს „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელობა და მისი ზოგიერთი მხარდამჭერი სოფლის მეურნეობის სამინისტროში სამსახურის რეორგანიზაციას და მისი დასახელებიდან „ვეტერინარიის“ ამოგდებას.**

აქვე „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახურის მესვეურებს განვუმარტავთ, რომ ხარისხიანი ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები ჯანსაღი ცხოველის პროდუქტი შეიძლება იყოს და არა დაავადებულის. ბოლო პერიოდში კი სამსახურს ხარისხიან პროდუქტზე მზრუნველის პოზა უკავია და ცხადი ხდება, რომ მის ხელმძღვანელობას წარმოდგენა არ აქვს, თუ საიდან მოდის ხარისხიანი პროდუქტი.

**„კანონს სურსათის უვნებლობის შესახებ უნდა გაეძლიერებინა ვეტერინარიის სამსახური და ხელი უნდა შეეწყო მისი ნორმალურად ფუნქციონერებისთვის. შედეგი კი პირიქით მივიღეთ. ჩვენ ვიწყებთ ასე - სურსათის უვნებლობა ავიყვანეთ მაღალ დონეზე და ხარისხს ვეძებთ უკვე მოხმარების წინ და არა წარმოების დროს. საიმედო პროდუქციას საიდან მივიღებთ, თუ ძირიდან არ მოვა კეთილსაიმედო ნედლეული?“,** – კითხულობს თენგიზ ყურაშვილი.

ყურადღება შევაჩეროთ იმ გარემოებაზეც, რომ თურქულისა და სხვა განსაკუთრებით საშიში დაავადების (ჯილეხი, ცოფი, ტუბერკულოზი, ბრუცელოზიძ დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ხარჯები დღემდე ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა. მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, პროფილაქტიკური აცრების ჩატარება ცოფზე, თურქულსა და ჯილეხზე პრობლემური გახდა. იქნებ განმარტოს სამსახურმა რა გახდა ამის მიზეზი, ის ხომ არა, რომ არაკვალიფიციურობის გამო ვერ ახერხებს რისკების დასაბუთებას?

**„სავეტერინარო სამსახური ფაქტობრივად აღარ არის. ეს ცხადად დაგვანახა ღორის აფრიკული ჭირის გავრცელებამ. არადა ამ საშიშროების შესახებ დაავადების შემოჭრამდე მთელი 9 წლით ადრე (1998 წელს) ვიტყობინებოდი. როდესაც დაავადება საქართველოში ორგან გამოვლინდა – ფოთსა და ლანჩხუთში – და ისიც ჯერ კიდევ ფართოდ არ იყო გავრცელებული, ყურიც არ ათხოვეს ჩვენს წინასწარ დიაგნოზს. ცხადია დაავადების შესაჩერებლად, არც შესაბამისი ზომები მიუღიათ, პირიქით, უნდობლობა გამოგვიცხადეს და მასალა შესამოწმებლად ინგლისში გაგზავნეს. იქიდან პასუხის მიღების დროისთვის კი დაავადება უკვე კახეთამდე იყო მისული“,** – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ თენგიზ ყურაშვილმა.



იმის გამო, რომ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახურის მესვეურებს უჭირთ განჭვრეტონ მოსალოდნელი საფრთხეები, შევეცდებით მათ მივაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია.

**„თუ ვეტერინარულ სამსახურს ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, ჩვენთან გაჩნდება ძროხის ღრუბლისებური ენცოფალოფატია, ან უფრო უარესი – აფრიკისა და აზიის დარად, საქართველო ახალი დაავადების კერა გახდება. ამის მტკიცების საფუძველს ქვეყანაში ამ ბოლო დროს ერთად თავმოყრილი სხვადასხვა სახეობის, ჯიშისა და ასაკის არაიმუნური ცხოველები მაძლევს. არავინ იცის რა მუტაციას, რეკომბინაციას და სხვა ცვლილებებს განიცდის არაიმუნური ცხოველის ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსების, ბაქტერიების, სოკოების მრავალი სახეობა და სეროლოგიური ტიპი“,** – აცხადებს აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

აქვე ცუდი არ იქნება, თუ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნულ სამსახურში დაფიქრდებიან, რამდენად საშიშია ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ჯილეხისა და სხვა დაავადებების აღმძვრელები, როგორც ბიოლოგიური იარაღი. ამის დასადასტურებლად „11 სექტემბრის“ შემდეგ „საფოსტო გზავნილების“ თემის გახსენებაც კმარა.

**და ბოლოს, რადგან, „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახური მიიჩნევს, რომ „მასთან“ ყველაფერი კარგადაა, იძულებული ვართ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაცია მივაწოდოთ.**

**2009 წლის მესამე კვარტალში 1101,1 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი აღირიცხა, 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში ამ მაჩვენებელმა 1120,4 შეადგინა.**

**მათ შორის, ფური და კამეჩი – 539,3 ათასი (2008 წელს 579,8 ათასი), ღორი – 155,0 ათასი (2008 წელს – 160 ათასი), ცხვარი და თხა – 561,5 ათასი (2008 წელს – 664 ათასი), ფრინველი – 8864,8 ათასი (2008 წელს – 8982,2 ათასი).**

**2000 წელთან შედარებით 2008 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუქტყვის სულადობა შემცირდა 131,9 ათასი სულით, მათ შორის ფურის და კამეჩის 85,7 ათასი სულით, ღორის 35,5 ათასი სულით, ცხვარისა და თხის 24,0 ათასი სულით. სულადობის შემცირების თვალსაზრისით, მეტად სავალალო მდგომარეობაა აჭარაში, შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში. ხოლო ღორის სულადობა საქართველოს ყველა რეგიონშია შემცირებული. დაეცა მეფრინველეობის სულადობაც და 2000 წელთან შედარებით შეადგენს 1143,3 ათას ფრთას. იმერეთში შემცირებულია 448 ათასი ფრთით, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში – 45,3, შიდა ქართლში – 101,7 ათასი ფრთით და ა.შ.**

**მეცხოველეობაში სულადობის შემცირებამ, ბუნებრივია, გამოიწვია მეცხოველეობის პროდუქტების შემცირებაც. 2000 წელთან შედარებით 2008 წელს ხორცის რაოდენობა შემცირდა 54,2 ათასი ტონით, ღორის ხორცი – 23,5 ათასი ტონით, ცხვრისა და თხის – 5,0 ათასი ტონით და ფრინველის ხორცის 800 ტონით.**

**ჯეროვანი მკურნალობის ჩაუტარებლობის გამო ბოლო ხანს მკვეთრად მოიმატა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაცემამ და 2000 წელთან შედარებით 2008 წელს შეადგინა 46,3 ათასი სული. პირუტყვის დაცემის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება იმერეთის, სამეგრელოს, ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონები. ანალოგიურად ღორის, ცხვრისა და ფრინველის დაცემის მაჩვენებელი მომატებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.**

და ბოლოს, რაიონებში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ან ორი ვეტერინარია. რა თქმა უნდა, ეს არასაკმარისია და ის ფუნქციები, რაც მათ კანონით აკისრიათ, ვერ უზრუნველყოფს რაიონების ვეტერინარულ კეთილსაიმედოობას. ბოლო დროს გახშირდა ხორცის გამყიდველების დაკავების ფაქტები საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

**„ასეთი მომენტები საქართველოში ყოველთვის იქნება იმის გამო, რომ ერთ ვეტერინარს არ შეუძლია რაიონის მასშტაბით გააკონტროლოს ყოველი დაკლული ცხოველი. ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია. შესაბამისად რეგიონებში ვეტერინარული კეთილსაიმედოობის არსებობა უბრალოდ წარმოუდგენელია“,** – აცხადებს ყურაშვილი.

საქართველოს რაიონებში შტატით დღეს მხოლოდ 120-მდე ვეტერინარი მუშაობს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ უნდა მიხედოს საშუალოდ 9 ათასზე მეტ საქონელს ერთმა ვეტერინარმა? ამაზე თუ უფიქრიათ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნულ სამსახურში?

***საკმაოდ შორს ვართ რაიმე სახის დასკვნების გაკეთებისგან, მაგრამ ვეტერინარიისადმი დამოკიდებულების ის ფორმა, რომელსაც ამჟამად „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ ეროვნული სამსახური ატარებს, რატომღაც ძალაუნებურად ბადებს კითხვებს: ვის სჭირდება ქვეყანაში ახალი პრობლემების წარმოქმნა? მით უფრო, ახლა, ამ დაძაბული პოლიტიკური ფონის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარედან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით? და კიდევ რას ერჩის მაია მეტრეველი ქვეყანას და მის პერსპექტივებს?***

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო მოკავშირეს კარგავს?

**„იმისთვის, რასაც პრეზიდენტი კაჩინსკი საქართველოსთვის აკეთებდა, პოლონეთში არაერთგზის გააკრიტიკებიათ იგი, მათ შორის დღევანდელი ხელისუფლების მხრიდანაც. ამიტომ საკითხი, თუ როგორი იქნება პოლონეთის პოლიტიკა ჩვენ ქვეყანასთან დაკავშირებით მისი სიკვდილის შემდეგ, სავსებით კანონზომიერია. მეშინია, რომ საქართველო მეორე პლანზე გადავა“, — გვითხრა ვარშავის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ქართველმა პოლიტოლოგმა დავით ყოლბაიამ**

ქართველებს ახსოვთ, რომ, მართალია 2008 წელს ბუქარესტის ნატოს სამიტზე ალიანსი არ დათანხმდა ამ ქვეყნისთვის მაპის პროგრამის მინიჭებას, პოლონეთის პრეზიდენტმა უმალვე გაავრცელა განცხადება მიმართვით, რომ თბილისი მომავალში ამ წევრობას მიიღებს. რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოზე რუსეთის თავდასხმის დროს ლეხ კაჩინსკი დაუყოვნებლივ გაფრინდა თბილისში, რათა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ლიდერებთან ერთად მხარი დაეჭირა ქართველებისთვის. პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები მაშინ აკრიტიკებდნენ პრეზიდენტს ამ ნაბიჯისთვის, ასევე იყო მაშინაც, როდესაც პრეზიდენტის თანმხლები პირები ქართველ ლიდერ მიხეილ სააკაშვილთან ერთად აღმოჩნდნენ სროლის ობიექტი სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის საზღვართან, სადაც ისინი მიდიოდნენ, რუსეთისთვის ეჩვენებინათ, რომ ის არ იცავს სამშვიდობო ხელშეკრულებებს და არ გამოუყვანია თავისი ჯარები დაკავებული ტერიტორიებიდან.

ზოგიერთი ქართველი დიპლომატი და კომენტატორი არაოფიციალურ საუბარში გამოთქვამენ შიშს, რომ პრეზიდენტ კაჩინსკის სიკვდილის შემდეგ პოლონეთის ხელისუფლება, რუსეთთან შერიგების საბაბით, დაივიწყებს საქართველოს შესახებ. „კლიმატის შეცვლა პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობაში შეეხება ისტორიულ დავებს, და არა პოლიტიკური ხასიათის პრინციპულ საკითხებს. დემოკრატიის მხარდაჭერა პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლონეთის სახელმწიფო ინტერესებში შედის და ჩვენ არ გვაინტერესებს რაიმე ცვლილებები საქართველოს მხარდაჭერაში“, — აღნიშნავს პარტია „სამოქალაქო პლატფორმის“ ევროპული დეპუტატი იაცეკ სარიუშ-ვოლსკი.



ამ აზრს იზიარებს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის ხელმძღვანელი თბილისში: „პოლონეთი დარჩება საქართველოს უახლოეს მოკავშირედ, ვინაიდან ჩვენს ქვეყნებს აქვთ საერთო ინტერესები უშიშროების სფეროში. პოლონეთ-რუსეთის შერიგებას მხოლოდ სიტუაციის გაუმჯობესება მოჰყვება, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სიმკაცრით ეს სიტუაცია არ შემოიფარგლება“, — მიაჩნია ალექსანდრე რონდელს.

ექსპერტები ერთი აზრის არიან, რომ საქართველოსთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დარჩეს რუსეთის გავლენის სფეროს მიღმა და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის შედეგად, სეპარატისტულმა რეგიონებმა აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა რუსეთის მხარდაჭერით თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს, მოსკოვმა კი ისინი უმალვე აღიარა. ძალიან დაზარალდნენ საქართველოს არმია და ეკონომიკა, თბილისი კი კიდევ უფრო დამოკიდებული აღმოჩნდა დასავლეთის ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე.

„ძველი ევროპის ქვეყნები, თავიანთი საქმეების გამო რუსეთთან, ხშირად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ ჩვენს უშიშროებას. ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ პოლონეთი — ეს მეორე ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს სურს სამოკავშირეო ურთიერთობა. ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიცია ევროსაბჭოში, რაც შეიძლება ძლიერი რომ იყოს“, — ხაზგასმით აღნიშნა რონდელმა.

როდესაც ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ გამოაცხადა რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვა“, საქართველო ვერ ფარავდა თავის შიშს. ჯო ბაიდენის შარშანდელი ვიზიტი თბილისში უნდა გამხდარიყო იმის დასტური, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ივიწყებს თავის უახლოეს მოკავშირეს კავკასიაში. მაგრამ თეთრი სახლი ცივად ეკიდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ მკაცრად ჩაახშო ანტისამთავრობო გამოსვლები. პრეზიდენტი ობამა არ შეხვდა სააკაშვილს ვაშინგტონში აპრილის ბირთვულ სამიტზე, რომელზეც მოწვეულები იყვნენ 40-ზე მეტი სახელმწიფოს ლიდერი მთელი მსოფლიოდან, ის შეხვდა მათგან თორმეტს, მათ შორის უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩსაც.

უკანასკნელი კვირეების განმავლობაში სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე თავის სამშობლოში, ის ეძებს მხარდაჭერის ელიტებს საქართველოსთვის. „ის საუბრობს ჩვენს შიშზე უშიშროების დარგში და ეძებს ინვესტიციებს. ომამდე ინვესტიციები შეადგენდა 2 მილიარდ დოლარს წელიწადში, შემდეგ კი ინვესტიციები შეჩერდა“, — ამბობს რონდელი.

კვირას სააკაშვილმა შეწყვიტა თავისი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და, მიუხედავად ევროპის თავზე წარმოქმნილი ვულკანური ფერფლისა, ჩაფრინდა ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე. პრეზიდენტი იყო ჩვენი გმირი. როდესაც ის დაიღუპა, ქართველები ერთმანეთს უსამძიმრებდნენ. რაიმე ამის მაგვარი არ ყოფილა პილსუდსკის შემდეგ, რომელიც ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნდა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველად“, — დაუმატა დავით ყოლბაიამ.

RZECZPOSPOLITA

# უფლება ზღვასა და ცაზე

**მაისში ვიცე-პრემიერი თემურ იაკობაშვილი, რომელსაც აგრეთვე უკავია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა რეინტეგრაციის საკითხებში, თურქეთში წარადგენს სტრატეგიას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ესენია ეკონომიკური, აგრეთვე სხვა პროექტები, რომლებმაც, საქართველოს აზრით, უნდა აღადგინოს ნდობა ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის. ანალოგიური პრეზენტაცია უკვე გაიმართა ზოგიერთ სხვა დედაქალაქში, მაგრამ თურქეთის პოზიციას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონში მის როლთან დაკავშირებით**

თურქეთში სულ ცოტა ნახევარი მილიონი კაცი ცხოვრობს აფხაზეთიდან, რასაც უკავშირდება ანკარისა და სოხუმის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რაც დიდი ხანია აღიზიანებს საქართველოს. აფხაზეთში რეგულარულად გამოჩენილი თურქეთის ხომალდები იწვევდა თბილისის პროტესტებს. კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუს რესპუბლიკამ. თურქეთი სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას არ აპირებს, მაგრამ ამ კვირაში აფხაზეთში დიპლომატების მიერ განხილულმა თურქეთ-აფხაზეთის კავშირურთიერთობის საკითხებმა საქართველოში ნერვული რეაქცია გამოიწვია.

აფხაზეთში იყვნენ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ კავკასიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და თურქეთის ელჩი საქართველოში. მათ, როგორც გამოაცხადეს, სოხუმში განიხილეს დამოკიდებულება მოწესრიგების ქართულ სტრატეგიასთან. მართალია, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ უმალვე განაცხადა, რომ თურქეთის ელჩთან ლევენტ ბურხანთან ოფიციალური მოლაპარაკება არ ყოფილა, ვინაიდან ის თურქეთის ელჩია საქართველოში. მოლაპარაკებას აწარმოებდა მხოლოდ დიპლომატი, რომელიც ჩამოვიდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან. „მანამ, სანამ თურქეთი არ აღიარებს აფხაზეთს, ჩვენ ვისაუბრებთ არა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებთან, არამედ მხოლოდ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან“, — აქვეყნებს სოხუმის სააგენტო „აფსნი პრესი“ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ციტატას. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯილიამ განაცხადა, რომ აუცილებელია განვითარდეს პირდაპირი ურთიერთობანი ანკარასა და სოხუმს შორის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის შემდეგ უმალვე განაცხადა, რომ თურქი დიპლომატების ვიზიტი აფხაზეთში შეთანხმებული იყო თბილისთან. ელჩი ლევენტ ბურხანი აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ მიიწვიეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან დავით ჯალაღანიასთან დახურულ შეხვედრაზე. „ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი პირდაპირი კონტაქტებისა, პირიქით, დაე, აფხაზებსა და ოსებს ჰქონდეთ ურთიერთობანი არა მხოლოდ რუსებთან, არამედ სხვებთანაც, მაგრამ ამ დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობა“, — განაცხადა თემურ იაკობაშვილმა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გვაცნობა აგრეთვე, რომ თბილისი აწარმოებს მოლაპარაკებას ანკარასთან იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელონ ლეგალურად საზღვაო მიმოსვლა თურქეთსა და აფხაზებს შორის.

უფრო რთულად არის საკითხი საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებით ახალ კავკასიურ რესპუბლიკაში (ერთ ციცქნა სამხრეთ ოსეთში თვითმფრინავები არც ადრე დაფრინავდნენ, და არც ახლა, აფხაზებისთვის კი ეს სერიოზული საკითხიაძ. ამჟამად საქართველო უჩივის რუსეთს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში იმისთვის, რომ მოსკოვმა თავისი ინიციატივით სოხუმის აეროპორტს მიანიჭა საიდენტიფიკაციო კოდი. სოხუმის აეროპორტი 1992-1993 წლების საქართველო-აფხაზეთის ომის შემდეგ უმოქმედოდ იყო. ესე იგი, მალე აფხაზეთსა და რუსეთს შორის შეიძლება დაიწყოს ავიამიმოსვლა. საქართველო ამჟამად ყველაფერს აკეთებს, რათა არ დაუშვას ასეთი ფრენები.

**მიხეილ ვიგნანსი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**ნასამ წარმოადგინა ზემაღალი გადაწყვეტის მზის პირველი სახე**

ამ მომენტისთვის SDO საშუალებას იძლევა მივიღოთ მზის დისკოს სურათები, რომელიც ათჯერ სჭარბობს HD-კამერას. ეს ასტრონომებს აძლევს შესაძლებლობას დააფიქსირონ „ობიექტები“, იქნება ეს ცვლილებანი ატმოსფეროში თუ ანომალიები. SDO გეგმების შესაბამისად მოახდენს მზეზე მომხდარი პროცესების დოკუმენტირებას ხუთი წლის განმავლობაში.

* * *

**ექსპერტები: მედვედევისა და იანუკოვიჩის შეთანხმება შავ ზღვასთან დაკავშირებით გათი-**



**შავს უკრაინის საზოგადოებას**

როგორც გაირკვა, ორი ხელშეკრულება შეთანხმდა უკანასკნელ მომენტში და აღმოჩნდა სიურპრიზი რუსეთის დელეგაციის ზოგიერთი წევრებისთვისაც კი. წყაროს მონაცემებით, ხელშეკრულებათა პირობების განხილვა გრძელდებოდა ჯერ კიდევ სამშაბათ საღამოს ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების ვლადიმერ პუტინისა და ნიკოლაი აზაროვის შეხვედრაზე.

* * *



**ყირგიზეთის პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია 10 ოქტომბრისთვის — კრემლი ეძებს „თავის კანდიდატს“**

არჩევნების წინ, 27 ივნისს, უნდა გაიმართოს რეფერენდუმი საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით. ხუთშაბათს მოსკოვში „დათვალიერებაზე“ ჩადის ტამი სარიევი — დროებითი მთავრობის ვიცე-პრემიერი და პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატი. მოსკოვში სიტუაციას „თვალყურს ადევნებენ“, მაგრამ არჩევანი ყირგიზ ხალხს მოუწევს.

* * *

**თვითმფრინავი, რომლებშიც იყვნენ რუსები, დაიმსხვრა ფილიპინებზე მოკლე ჩართვის გამო**

სატვირთო ან-12-ს ცეცხლი გაუჩნდა აფრენიდან ერთი საათის შემდეგ. მფრინავებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ ექსტრემალური დაჯდომა ღია ველზე. ამის შედეგად სამი კაცი დაიღუპა, კიდევ სამმა მძიმე ტრავმა მიიღო. დაჭრილები ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლებმა გადაარჩინეს, რომლებმაც თავდაპირველად თვითმფრინავი მეტეორიტად მიიჩნიეს.



დიდი ტერორი?

# ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

სტალინმა გადაწყვიტა წმენდა დაეწყო 30-იანი წლების აპარატული ბრძოლის საუკეთესო ტრადიციებით. მან დაიწყო პოლიტიკურ მოთამაშეთა ერთმანეთისთვის დაპირისპირება, ახდენდა მათი შინაპარტიული კონფლიქტის პროვოცირებას. ბელადმა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებს უბრძანა დაეწყოთ ბერიას სამინისტროს გამოკვლევა, მკაცრად გააკრიტიკა მოლოტოვი, მიქოიანი და ვოროშილოვი. ბელადს იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა „საჭადრაკო დაფაზე" ერთი ფიგურები გაანადგურებდნენ მეორე ფიგურებს, მას კი გასანადგურებლად დარჩებოდა დანარჩენები, პარტიის ყურადღება გამახვილდებოდა სერიოზულ კრიზისზე მის რიგებში.

შედეგად დაიწყებოდა იდეურ-პოლიტიკური კურსის სერიოზული ცვლილებები. მათთვის სტრუქტურული მზადება უკვე განხორციელდა – 1952 წელს, სკპ (ბ) XIX ყრილობაზე. მაშინ პოლიტბიურო (9 კაცი) არსებითად გაიზარდა (25 წევრამდე და 11 წევრობის კანდიდატამდე) და მას ეწოდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. მინისტრთა საბჭო, ამრიგად, დგებოდა პარტიაზე მაღლა, რაც სავსებით შეესაბამებოდა ბელადის იდეალებს, რომელთა მიხედვითაც ქვეყანა უნდა ემართა სწორედ სახელმწიფო აპარატს, პარტიამ კი უნდა აწარმოოს ხალხის იდეური აღზრდა და საკადრო პოლიტიკის განხორციელება. სტალინმა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოსვლაც კი ისურვა, რომ მთელი ყურადღება მინისტრთა საბჭოში მუშაობისთვის დაეთმო, სადაც იგი თავმჯდომარე იყო. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წამოწყებამ გააოგნა და დაიწყო ბელადის დარწმუნება – დარჩენილიყო პარტიულ სამუშაოზე. სტალინი დაჰყვა პარტიელების თხოვნას, და ეს იყო მისი ყველაზე დიდი შეცდომა. ყოველ შემთხვევაში – ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა.

საშინაო პოლიტიკურ ფრონტზე თავისი ყველაზე მთავარი გამარჯვება რომ მოეპოვებინათ, პარტიული დოგმატიკოსები მეორეხარისხოვან როლში აღმოჩნდებოდნენ, რაც აუცილებლად თავად იდეოლოგიის რეფორმასთან მიგვიყვანდა. მისთვის მზადებაც უკვე მიმდინარეობდა, და საკმაოდ სწრაფი ტემპითაც. სტალინის სიტყვა ყრილობაზე პრესაში დაიბეჭდა სათაურით „პარტიის ყრილობის მასალები" (მითითებული არ იყო რომლის). ესე იგი სტალინმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ის მმართველ პარტიას ხედავს არა როგორც კომუნისტურს, არამედ როგორც სოციალისტურ ორგანიზაციას. ამასთან ერთდროულად ყველგან მიმდინარეობდა უცხოეთის კომპარტიებისთვის სახელების გადარქმევის პროცესი – „შრომის", „სახალხო", „სოციალისტურ" პარტიებად. თავად ყრილობაზე კომუნისტური მოძრაობები სტალინმა დაახასიათა, როგორც „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" დამკვრელი რაზმი. მან განაცხადა, რომ კომუნისტებმა მაღლა უნდა ასწიონ ეროვნული პატრიოტიზმის დროშა, რომელიც კოსმოპოლიტურმა ბურჟუაზიამ გადააგდო: „ადრე ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, აყენებდა მას „ყველაფერზე მაღლა". ახლა კი „ეროვნული პრინციპის" კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუახია ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას დოლარებზე ყიდის. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გემიდან გადააგდეს. ეჭვი არაა, რომ ამ დროშის აწევა მოგიწევთ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, და მისი წინ წაღება, თუ გსურთ, რომ იყოთ თქვენი ქვეყნის პატრიოტები, თუ გსურთ, რომ იყოთ ერის ხელმძღვანელი ძალა. თქვენს მეტი მას ვერავინ ასწევს". ამით განისაზღვრა ახალი ოფიციალური იდეოლოგიის არსი, რომელიც უნდა გახდეს ეროვნული, სახელმწიფო პატრიოტიზმი, რომელსაც აქვს ზუსტად გამოხატული სოციალისტური ორიენტაცია. მარტივად რომ ითქვას, საკითხი შეეხებოდა ეროვნულ სოციალიზმს.

იმ პერიოდში სტალინს უყვარდა ასე თქმა: „ლენინი, ლენინი, რაო ლენინმა? ვძლებდით ამდენი ხნის განმავლობაში ულენინოდ, გავძლებთ კიდევ!" ამით ნათლად იყო მითითებული, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი არ შეიძლება ითვლებოდეს პარტიის იდეოლოგიურ საფუძვლად, ლენინის ფიგურამ კი, ნიჰილისტისა და დამანგრევლისა, ადგილი უნდა დაუთმოს სტალინის – შემოქმედის, ახალი, დიდი სახელმწიფოს შემქმნელის – ფიგურას. გენერალისიმუსი იწყებს კამპანიას ლენინის თანდათანობითი დისკრედიტაციის შესახებ. მაგალითად, სამხედრო ისტორიის სპეციალისტის, პროფესორ ე.რაზინის წერილის პასუხად სტალინმა განაცხადა, რომ ლენინს სამხედრო საკითხებში კომპეტენცია არ ჰქონდა. ასეთი რამის თქმა კაცზე, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთს სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში, იყო იმის ტოლფასი, რომ საერთოდ ეჭვქვეშ დააყენო მისი სახელმწიფო კომპეტენცია.

ამავე დროს იზრდებოდა რუსული ეროვნული პატრიოტიზმის პროპაგანდა, სააშკარაოზე გამოჰყავდათ „უჯიშო კოსმოპოლიტები", მკვიდრდებოდა რუსეთის მეფეების კულტი. ხალხში დადიოდა ხმები, რომ სტალინი აალორძინებს მონარქიას, თავად კი ახალი მეფე გახდებაო. რასაკვირველია, ის ამ ნაბიჯზე არ წავიდოდა, მაგრამ საყურადღებოა თავად ასეთი განწყობილების არსებობა. და, ბოლოს, მთლიანად შეწყდა ანტირელიგიური პროპაგანდა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესია სწრაფად იბრუნებდა ადრე დათმობილ პოზიციებს.

დღეს მეტად პოპულარულია ვერსია, რომლის თანახმადაც გენერალისიმუსი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა, მას ამაში დაეხმარნენ მისი თანამებრძოლები – ბერია, ხრუშჩოვი, მალენკოვი. ამ ვერსიის სასარგებლოდ არსებობს ბევრი ფაქტი, რომელთა მარტო ჩამოთვლაც კი დიდი საჟურნალო სტატიის ადგილს დაიკავებდა. მაგრამ ჩვენთვის ბელადის გარდაცვალების ვითარებანი ამ შემთხვევაში არც ისე დიდი მნიშვნელობისაა. წავიდა სტალინი ამ ქვეყნიდან თავად თუ „წაიყვანეს" იგი, ნებისმიერ შემთხვევაში დასკვნა შეიძლება იყო მხოლოდ ერთი – ეროვნული რევოლუციის მთელი საქმე დამოკიდებული იყო მხოლოდ თავად სტალინზე. მას არ ჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხარდაჭერა. უფრო ზუსტად, მხარს უჭერდნენ – ოფიციალურად გამოცხადებულ კურსს, მაგრამ ჭეშმარიტი მიზნები, რასაც სტალინი ისახავდა, უცნობი აღმოჩნდა მისი ჭეშმარიტი მხარდაჭერებისთვისაც კი. ვიღაცამ, უეჭველია, იცოდა ამ მიზნების შესახებ, მაგრამ ასეთი ხალხი ცოტა იყო. ამას ადასტურებს მომდევნო მოვლენათა მთელი მსვლელობა. ხელისუფლების სათავეებამდე მიღწეულმა „დოგმებმა" სტალინის გარემოცვიდან თავიანთი ბელადის ყველა რეფორმას მოუღეს ბოლო და წარმოაჩინეს იგი სკკპ XX ყრილობაზე. სიტყვაც არავის დასცდენია თავისი ყოფილი კერპის დასაცავად – არც ლიდერებს, არც რიგით დელეგატებს. მათ უბრალოდ აჩვენეს, რომ სტალინიზმს მისი პიროვნების კულტითა და ანტიკომუნისტური რეპრესიებით ცოტა რამე თუ აქვს საერთო მარქსიზმთან. თვით „ანტიპარტიული ჯგუფი" 1957 წელს ედავებოდა ხრუშჩოვს სრულიადაც არა სტალინის რეაბილიტაციის საკითხზე, ამაზე სიტყვაც არ თქმულა! ხრუშჩოვს აკრიტიკებდნენ ავანტიურიზმისა და მოუფიქრებელი გადაწყვეტილებებისთვის. მოგვიანებით, იგივე ბრალდებების გამოყენებით, პარტიული ოლიგარქია ჩამოაგდებს ხრუშჩოვს პირველი მდივნის პოსტიდან იმის შიშით, რომ მან ყველაფერს არ მოუღოს ბოლო სამუდამოდ.




მაშინ შეწყვეტს პარტია სტალინის კრიტიკას და, ბოლოს და ბოლოს, მიაჩუმათებს ისტორიის სტალინურ პერიოდს. იქნება ცალკეული მცდელობები – განადიდონ სტალინი (ძირითადად კინოფილმებსა და რომანისტიკაშიძ, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იქნება მეტად იშვიათი მცდელობანი, მეორეც, „სტალინისტები" საფუძვლად აიღებენ მითს კომუნისტ სტალინზე, ლენინის საქმის ერთგულ გამგრძელებლებზე. და არავის ექნება მიზნად დასახული გააგრძელოს საქმე ნამდვილი სტალინიზმისა, რომელიც იყო მცდელობა შემოაბრუნოს ბოლშევიკური რევოლუცია ეროვნულ-სოციალისტურ კალაპოტში. სტალინის ბევრმა მტერმა კომუნისტური მოძრაობის წრიდან (ისეთებმა, როგორიც იყო ტროცკიძ იცოდა ამის შესახებ და „მსოფლიო საზოგადოებრიობა" ატყობინებდა კიდეც ამაზე, მის მიმდევრებს კი კვლავ გულუბრყვილოდ სჯეროდათ ბელადის მარქსიზმი.

სტალინის განკარგულებაში რომ ყოფილიყო საკუთარი პოლიტიკური ძალა, რომელიც მხარს დაუჭერდა მის ორიგინალურ მსოფლმხედველობას სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებით, ისტორიული განვითარების მსვლელობა სხვაგვარი იქნებოდა. ამ შემთხვევაში სტალინს შეეძლო აშკარად გამოეცხადებინა თავისი იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა და ბოლო მოელო ქვყანაში კომუნიზმისთვის. ხალხი მას მხარს დაუჭერდა, ბელადს ხომ ჰქონდა, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, უდიდესი ავტორიტეტი. მაგრამ სტალინი მოერიდა გამოეყენებინა თავისი ზეპოპულარობა ღია პოლიტიკური ბრძოლის მიზნით და თავისსავე ჭკუას ვერ აჯობა. სავსებით შესაძლებელია, რომ ის ცდილობდა გამოეწვია თავისი გარემოცვა ბუნტისთვის. მისი ჩახშობით ბელადი მოაწყობდა კიდევ ერთ დიდ წმენდას და შექმნიდა სრულიად ახალ პარტიას. თუ ეს ასეა, მაშინ ბელადმა ა.კერენსკის შეცდომა გაიმეორა. დროებითი მთავრობის მონაწილეთა მოგონებებით თუ ვიმსჯელებთ, პრემიერს უნდოდა დალოდებოდა ბოლშევიკური აჯანყების დაწყებას, რომ მისცემოდა კანონიერი საფუძველი ბოლშევიზმის გასანადგურებლად. მაგრამ, გაირკვა, რომ ეფექტიანად მოქმედებს ის, ვინც პირველი მიაყენებს დარტყმას.

სტალინმა ვერ შეძლო მარქსიზმისა და პარტოკრატიის დამარცხება. მიუხედავად ამისა მან შეძლო ქვეყნის დაშლის თავიდან აცილება, რაც გარდაუვალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 30-იან წლებში გაიმარჯვებდნენ „მემარცხენეები" ან „მემარჯვენეები". ჩვენმა ქვეყანამ სტალინის ხელმძღვანელობით შექმნა უზარმაზარი სამეცნიერო-სამრეწველო პოტენციალი. მასზე ვართ დამოკიდებული დღემდე, რის შესახებაც, კარგი იქნებოდა, თუ ხშირად გაიხსენებდნენ ხოლმე დღევანდელი ჩვენი ხელმძღვანელები.

## დასკვნა

მაშასადამე, დროა გავაკეთოთ დასკვნები. ცხადია, რომ სტალინი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ 1937-1938 წლებში გაჩაღებული მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების ინიციატორად. „დიდი ტერორი" გახდა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის უმწვავესი შინაპარტიული ბრძოლის შედეგი. ტროცკისტებისა და ზინოვიეველების ჯგუფების საიდუმლომ, არსებითად, საშეთქმულებო საქმიანობამ, შეაშფოთა ქვეყნის ხელმძღვანელობა. მან დაიწყო იმ ძველი ბოლშევიკების სისხლის სამართლით დევნა, ვინც ჩართული იყო ამ საქმიანობაში. ამით შეიქმნა სახიფათო პრეცედენტი.

ზედა ფენების განგაში გაძლიერდა, როდესაც გაირკვა, რომ ბუხარინის ჯგუფი დაკავშირებული იყო პირველ რიგში სახალხო კომისარ იაგოდას მეშვეობით, „მემარცხენეებთან" და ჰქონდა საკუთარი, მეტად არსებითი ამბიციები. რეგიონალური ხელმძღვანელების ჯგუფი იბრძოდა იმისთვის, რომ ბუხარინელების მიმართ გამოყენებული ყოფილიყო რეპრესიული ხასიათის ზომები. ასეთივე ზომები შესთავაზა მან უწყებრივი ოლიგარქების კონკურენტი დაჯგუფების მიმართაც. სტალინის ჯგუფი დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მალე ჩამოეცილებინა პოლიტიკური არენიდან როგორც „მემარჯვენეები", ისე „ტექნოკრატები". მიუხედავად ამისა, იგი არ იწონებდა მათთან ტერორისტული ბრძოლის მეთოდებს, მხარს უჭერდა სისტემის პოლიტიკურ განახლებას არჩევნების საშუალებით. მაგრამ რეგიონალებს არ აინტერესებდათ მოვლენათა ამგვარი განვითარება, ვინაიდან თავისუფალი არჩევნები მიიყვანდა მათ საკუთარი პოზიციების დასუსტებასთან. მათ ერჩიათ გადაეწყვიტათ პრობლემები მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდებით, რომელთა შორისაც რეპრესიებს უკანასკნელი ადგილი როდი ეკავათ. „მემარცხენე კონსერვატორების" აზრით, სწორედ დამსჯელ მეთოდებს შეუძლიათ გადაჭრან პოლიტიკური და სამეურნეო საკითხების უმრავლესობა.

სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა სამხედრო შეთქმულთა საქმიანობამ (ტუხაჩევსკი, იაკირი და სხვ.ძ, რომლებიც შეეცადნენ მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება. სტალინი იძულებული იყო მოეწყო სამხედრო ზედა ფენების დიდი ნაწილის, აგრეთვე იმ პარტიელების რეპრესია, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ შეთქმულებთან. ამან კიდევ უფრო გაამწვავა რეპრესიების მექანიზმი.

უკანასკნელი მცდელობა, შეეჩერებინა რეგიონალები, სტალინმა განახორციელა 1937 წლის ზაფხულში, როდესაც მოინდომა შეეცვალა უკრაინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ამ მცდელობის ჩაშლის შემდეგ ის აქტიურად ჩაერთო რეპრესიების კამპანიაში, შეეცადა მიეღო აქედან მაქსიმალური საკადრო მოგება.

როდესაც ტერორმა, რომელიც სულ უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა, შთანთქა რეგიონალების დიდი ნაწილი, სტალინი გაუსწორდა მათს დარჩენილ ზედა ფენებს (კოსიორი, ეიხე და სხვ.ძ. ამის შემდეგ მასობრივმა ტერორმა კლება დაიწყო.

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-74.

## ვინ არის ალექსანდრ ელისეევი?

**ჩვენმა გაზეთმა ამით დაასრულა ალექსანდრ ელისეევის ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნის „1937 წლის გამოცანის ამოხსნა. „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?" გამოქვეყნება.**

წიგნმა, უფრო სწორედ, მისმა პუბლიკაციამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", მკითხველთა დიდი და ცხოველი ინტერესი გამოიწვია. უწინარეს ყოვლისა, თავისი მიუკერძოებლობით, ობიექტურობით და გაბედულებითაც, რაც არც თუ ისე ჭარბად შეინიშნება საბჭოთა კავშირის სტალინის პერიოდის ამსახველ წიგნებსა და პუბლიკაციებში – როგორც რუსეთსა თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენთანაც, საქართველოში – სადაც უმეტესწილად წინა პლანზე წამოწეულია წინასწარი აზრი და განსაზღვრა, წინასწარაკვიატებულება და ისტორიული ფაქტების შესაბამისი წარმოჩენა და განმარტება.

როგორც მკითხველიც შენიშნავდა, ავტორი არ ერიდება დოგმატად ქცეულ დებულებებთან და სუბიექტურ მტკიცებულებებთან პოლემიკას და, უტყუარ ისტორიულ ფაქტებზე მიუკერძოებელი დაყრდნობით, წარმოაჩენს ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდს, ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელის იოსებ სტალინის პიროვნებას, მის წარმოუდგენლად დიდ ნიჭს, ქვეყნის მართვის, სიძნელეების ყველაზე მიზანშეწონილი, ყველაზე სწორი და ისტორიულად ობიექტური დაძლევის უნარს, რამაც ქვეყანა მიიყვანა ისტორიაში არნახულ და წარმოუდგენელ წარმატებებამდე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. ა.ელისეევი არც ი.სტალინის კრიტიკას გაურბის, როდესაც ისტორიული ფაქტები უტყუარად ამას მოითხოვს.

**ვინ არის თავად წიგნის ავტორი, ალექსანდრ ელისეევი?**

ისტორიკოსი და პუბლიცისტი ალექსანდრ ელისეევი დაიბადა 1972 წელს მოსკოვში. განათლებით ისტორიკოსია (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის ეროვნული მოძრაობის სპეციალისტი), თუმცა მისი ინტერესები მოიცავს პოლიტოლოგიასაც, ფილოსოფიასაც, რელიგიათმცოდნეობასაც და ეკონომიკასაც, არის გაზეთ „პრავოე სოპროტივლენიეს" დამფუძნებელი და წამყვანი ავტორი, 2010 წლის თებერვლიდან ინტერნეტ-პორტალის „პრავაია.რუ"-ს მთავარი რედაქტორი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მოძრაობის – „რუსული მოქმედება" – შექმნაში.

იხ. 11 გვ.

ფეხბურთი

# მოთმინებითა შენითა...



**ბუნდესლიგის სასტარტო 13 ტურში მიუნხენის „ბაიერნმა" მხოლოდ 4 გამარჯვება მოიპოვა და მისი ჰოლანდიელი თავკაცის ლუის ვან გაალის თავზე ცა თანდათან მოიქუფრა – მოგეხსენებათ, „რეკორდმაისტერის" ქომაგები და ბოსები გერმანიის საუკეთესო კლუბს ყოველთვის უმაღლეს მიზნებს უსახავენ.**

კიდევ კარგი, რომ ბავარიული გიგანტის შეფებმა მაშინ ემოციები მოთოკეს და შოკურ თერაპიას მწვრთნელისათვის ნდობის ვოტუმის გაგრძელება ამჯობინეს – „ალიანს არენის" ბინადრები ეროვნული თასის გათამაშების ფინალშიც გავიდნენ, ქვეყნის პირველობის სატურნირო ცხრილსაც ლიდერობენ და, რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩიც მოიგეს. შეგახსენებთ,



რომ „წითლების" კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა ყველაზე პრესტიჟული ევროპული თასი უკანასკნელად 2001 წელს აღმართა. ასე რომ, მისი მემკვიდრენი მორიგი ტრიუმფის ზღურბლთან არიან.

**„ბაიერნი" – „ლიონი" 1:0 (0:0)**

**გოლი:** რობენი (69-ე წუთი).

**გაძევება.** რიბერი („ბაიერნი"); ტულალანი („ლიონი").

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია).

ისლანდიური ვულკანის ამოფრქვევის გამო ფრანგები ბრძოლის ველზე ავტობუსით ჩავიდნენ და, „ბარსელონას" მსგავსად, რომელმაც ასევე მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩააღწია დანიშნულების პუნქტამდე, პირველი რაუნდი წააგეს. ვერ გეტყვით, კანონზომიერებაა თუ უბრალო დამთხვევას უნდა მივაწეროთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ორივე სტუმარმა შესვენების შემდეგ გადაულოცა მეტოქეს თამაშის სადავეები, რაც არცთუ უკანასკნელ რიგში, ვფიქრობთ, დაღლილობამ განაპირობა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რაც გარკვეულწილად ორივე წყვილს აერთიანებს: ესაა მსაჯობის საკითხი. თუ რას ვგულისხმობთ, ახლავე გაგანდობთ. როგორც იცით, სამშაბათის რაუნდს მასპინძელთა პორტუგალიელი დამრიგებლის ჟოზე მაურინიუს თანამემამულე უძღვებოდა. დაინტერესებულ მხარეს მიანდო უეფამ გერმანულ-ფრანგული დუელის განსჯაც – ადვილი შესაძლებელია, 22 მაისს მადრიდში დანიშნული გადამწყვეტი შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე იტალიური გრანდი გახდეს, მის შესაძლო მეტოქეებს კი აპენინელმა შაოსანმა გულუხვად დაურიგა წითელ-ყვითელი ბარათები. ვიმეორებთ, ამით არაფერს არ ვამტკიცებთ, უბრალოდ, საჩოთირო თემას ვუსვამთ ხაზს.

და კიდევ: „ლომების" მეკარე უგო ლორისს აქამდე გამართულ ჩემპიონთა ლიგის 10 მატჩში მხოლოდ 6 გოლი ჰქონდა გაშვებული, თანაც არცერთში – ერთზე მეტი. მართალია, მან ტრადიცია ამჯერადაც შეინარჩუნა, მაგრამ ამით, არა გვგონია, მეტისმეტად კმაყოფილი იყოს – რობენმა და კამპანიამ პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს და საკუთარი კარი მშრალად შეინახეს.

ჭადრაკი

# ხვალ იწყებენ



**ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საზეიმოდ გაიხსნა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მასპინძელ ვესელინ ტოპალოვსა და ინდოელ ვიშვანათან ანანდს შორის. ბალკანეთში 12 პარტია გათამაშდება. გაიმარჯვებს ის, ვინც 6,5 ქულას მოაგროვებს.** შეხვედრები გაიმართება დროის კლასიკური კონტროლით: მეტოქეებს 40-40 სვლაზე მიეცემათ 2-2 საათი, შემდეგ ერთი საათი 20 სვლაზე და 15 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.

ორთაბრძოლის ფრედ (6:6) დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება ოთხი 25-წუთიანი პარტია ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. გამარჯვებული ამანაც თუ ვერ გამოავლინა, მოწინააღმდეგეები ბლიცპარტიებში გაარკვევენ ურთიერთობას.

საპრიზო ფონდია 2 მილიონი ევრო. ჩემპიონი მილიონ ორასი ათასს, დამარცხებული კი 800 ათას ევროს მიიღებს.

პირველი პარტია შაბათს, 24 აპრილს გაიმართება.

ეპოქის დასასრული

# ოლიმპიური იდეალების ერთგული

**მთელი სპორტული სამყარო შეძრა კატალონიის დედაქალაქიდან გავრცელებულმა ინფორმაციამ – გულის მწვავე უკმარისობით ბარსელონას ერთ-ერთ კლინიკაში 89 წლის ასაკში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ექს-პრეზიდენტი (1980-2001) ხუან ანტონიო სამარანჩი გარდაიცვალა. მასზე დიდხანს აღნიშნულ თანამდებობაზე მხოლოდ თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა იღვაწა.**



**საბჭოთა კავშირში ესპანეთის ყოფილ ელჩსა და გამობრძმედილ დიპლომატს ახალ პოსტზე უამრავი სკანდალის განეიტრალება მოუხდა. ესენია ოლიმპიადების ბოიკოტირება, სამსაჯო და დოპინგ-სკანდალები, სპორტის კომერციალიზაცია და ოლიმპიადებზე პროფესიონალ სპორტსმენთა დაშვება-არდაშვების საკითხი.**

**სოკ-ის თავკაცობიდან წამოსვლის შემდეგ მისი საპატიო პრეზიდენტი ისევ საყვარელ საქმეს ემსახურებოდა და ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა 2012 და 2016 წლების ოლიმპიური თამაშების მადრიდში ჩასატარებლად წარმოებულ კამპანიაში, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია – ერთ შემთხვევაში მას ლონდონის კანდიდატურამ აჯობა, ხოლო მეორეში – რიო დე-ჟანეიროსამ.**

სტიქია

# ვულკანმა ყველაფერი არია

**ირლანდიაში ამოფრქვეულმა ვულკანმა დიდი არევ-დარევა რომ შეიტანა აეროპორტების მუშაობაში, იმოქმედა სპორტულ ცხოვრებაზეც. ვერ ხერხდება თვითმფრინავებით სპორტსმენების, გუნდების დროზე გადაყვანა შეჯიბრებების ადგილზე. მაგალითად, მატჩისთვის „ინტერი"-„ბარსელონა" – ესპანელებს ავტობუსებით მოუხდათ ხანგრძლივი მგზავრობა იტალიაში ჩასასვლელად. სწორედ ეს ხომ არ გახდა მათი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი?**

ათი მიკროავტობუსით ჩავიდნენ აგრეთვე მიუნხენში გუშინწინდელ ნახევარფინალურ მატჩზე „ბავარიასთან" შესახვედრად „ლიონის" ფეხბურთელებიც.

ასევე ავტობუსებით ჩავიდა მოსკოვიდან ვენაში ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში რუსეთის ნაკრების ტექნიკური შემადგენლობა. ავტობუსებით მოუწიათ ავსტრიის დედაქალაქში ჩასვლა ლონდონში მყოფ რუს ძიუდოისტებსაც.

გაურკვეველი ვადით გადაიდო წყალბურთში მსოფლიო ლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩი რუსეთი-მაკედონია, რადგან მოსკოვში ვერ ჩავიდნენ მაკედონელი წყალბურთელები.

როგორც იტყობინებიან, შანხაიში, სადაც გაიმართა „ფორმულა-1" მორიგი ეტაპი – „შანხაის გრან-პრი", აეროპორტში გაჩერებულია ექვსი „ბოინგი-747", რომლებითაც ჩვეულებრივად გადააქვთ „ფორმულის" ტვირთი და ტექნიკა. როგორც ამ დიდი რბოლების სატრანსპორტო ოპერაციების მენეჯმენტის თავკაცმა ალან ვულდარდმა განაცხადა, ვერც ერთი თვითმფრინავი ადგილიდან ვერ დაიძვრება იქამდე, სანამ არ გაიხსნება ევროპის ყველა აეროპორტი. მან იმედი გამოთქვა, რომ კვირის ბოლომდე ისინი შინისკენ გაემგზავრებიან.

ამბობენ, რომ ასეთმა დაყოვნებამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს 9 მაისის მორიგ ეტაპზე ბარსელონაში, ვინაიდან ინჟინრები და მექანიკოსები ვერ მოასწრებენ ტექნიკის მოწესრიგებასა და დაგეგმილი სიახლეების შეტანას. პილოტებისა და გუნდების წევრთა უმრავლესობაც ჯერჯერობით ისევ შანხაიშია „საფრენი ამინდის" მოლოდინში.



ღმერთო, იქნებ მალე „მოაკეტინო" ვულკანს!

ინტერნეტიდან

## ოლიმპიელები თეთრ სახლში

**ოთხშაბათს, 21 აპრილს ოფიციალური მისიით ვაშინგტონში ჩავიდნენ ამერიკელი ოლიმპიელები და პარალიმპიელები. 225 სპორტსმენისგან შემდგარი დელეგაცია იყო თეთრ სახლში, აშშ კონგრესსა და უმაღლეს სასამართლოში.**



თეთრ სახლში შეხვედრა მიმდინარეობდა გულითად, თავისუფალ ვითარებაში. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და მისმა მეუღლემ მიშელმა სტუმრებს დაათვალიერებინეს თავიანთი რეზიდენციის დარბაზები.

ცნობილმა მოციგურავემ შაინ დევისმა, შეიტყორა, რომ ისა და მიშელი ჩიკაგოს ერთ რაიონში გაიზარდნენ, ქალბატონს ხელი ჩამოართვა, მან კი, თავის მხრივ, ჰკითხა დევისს: „ჩვენთან ხომ არ იყო განვითარებული საციგურაო სპორტი. თქვენ როგორ დაეუფლეთ მას"?

ზოგიერთი ოლიმპიელი და პარალიმპიელი ქვეყნის მეთაურის მეუღლესთან ერთად იყვნენ აგრეთვე ვაშინგტონის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც მონაწილეობდნენ ცხოვრების ჯანსაღი წესის კამპანიაში.

## ვიზები უფასო იქნება

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოელოდნენ 450 ათას უცხოელ ტურისტს, მაგრამ ახლა ეკონომიკური კრიზისისა თუ სხვა მიზეზებით მხოლოდ 100 თუ 200 ათას ფეხბურთის გულშემატკივარზეა ლაპარაკი.** ტურისტთა ნაკადის შემცირებას მკაცრ სავიზო რეჟიმსაც აბრალებდნენ, მაგრამ, როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მალუსი გიგიბამ განაცხადა, იმათ, ვისაც ჩემპიონატის ბილეთი ექნება, ვიზა უფასოდ მიეცემათ, რითაც გულშემატკივრები სულ ცოტა 60 დოლარს დაზოგავენ. ეს კი, უეჭველად, იმიტომ კეთდება, რომ, რაც შეიძლება, მეტი ტურისტი მიიზიდონ შავი კონტინენტის ამ სახელმწიფოში.

## სიკეთისთვის მოწოდებულნი

**მოდელმა ნიკოლა T (ფოტოზე) და ყოფილმა ფეხბურთელმა, ახლა კი ჰოლივუდის ვარსკვლავმა ვინი ჯონსმა სპორტული ტანსაცმლის ერთობლივი სერია გამოუშვეს, რომელშიც, კერძოდ, ითამაშებს ვინის სამოყვარულო გუნდი „ჰოლივუდის ყველა ვარსკვლავი".** ფეხბურთის მაისურების გაყიდვით შემოსული ფული, მისი დიზაინი კი ნიკოლას შემუშავებულია, ქველმოქმედებას მოხმარდება. „ვინიმ მთხოვა და მეც დავთანხმდი. მთლიანად შევცვალე ლოგოტიპი, რათა შემექმნა ნამდვილი მოდური ბრენდი", – მოაქვს 26 წლის მოდელის სიტყვები პრესას.

„იმედი მაქვს, რომ შევძლებთ ბევრი ფულის მოგროვებას საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის", – განაცხადა თავის მხრივ ვინიმ.



# ვინ არის ალექსანდრ ელისეევი?

(მეცხრე გვერდიდან)

ა.ელისეევი — კონსერვატიული რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსია. ტრადიცია და რევოლუცია — ეს მისი კრედოა. იგი არასოდეს მიდის კომპრომისზე ანტიეროვნულ ხელისუფლებასთან, დემოკრატებთან და კომუნისტებთან, რაც ნათლად ჩანს მისი წიგნიდანაც.

ჩვენ დავუკავშირდით ალექსანდრ ელისეევს და ვაცნობეთ მისი წიგნის თარგმნის შესახებ ქართულ ენაზე და რამდენიმე კითხვითაც მივმართეთ მას.

— მეტად სასიამოვნოა, რომ საჭიროდ მიიჩნიეთ წიგნის ქართულად თარგმანი. ვფიქრობ, ეს გამოწვეულია ქართველი მკითხველის ინტერესით იმ პერიოდისადმი, რაზეც წიგნშია საუბარი. თქვენი ეს ღონისძიება ამავე დროს მიმაჩნია დიდ მხარდაჭერადაც წიგნის მიმართ, რისთვისაც მოგახსენებთ გულწრფელ მადლობას.

**— ბატონო ალექსანდრ, გვაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება საქართველოსა და მისი ხალხისადმი, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის თქვენეული შეფასება.**

— გულწრფელად პატივს ვცემ საქართველოს და მის ხალხს. და გული მტკივა, რომ თბილისელი მმართველები ჩვენგან დასავლეთისკენ იხრებიან. ამ დროს რუსეთის მმართველ ელიტას არ გააჩნია უნარი შეიმუშაოს ოპტიმალური საგარეოპოლიტიკური კურსი საქართველოსთან და ჩვენ სხვა მეზობლებთან დაკავშირებით. მას არ გააჩნია სტრატეგიული ხედვა, ცივილიზებული პროექტი, არ შეუძლია დარწმუნება — იდეურადაც და პოლიტიკურადაც. ორ ქვეყანას შორის ამჟამინდელი დაძაბულობა ხელს აძლევს მხოლოდ „მესამე მხარეს“, რომელიც დაინტერესებულია დესტაბილიზაციით მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში. საკითხი შეეხება ტრანსნაციონალურ ოლიგარქიას, რომელიც წარმართავს დასავლური ელიტებისა და სტრუქტურების საქმიანობას.

**— ხედავთ გამოსავალს?**

— თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის



ქვეყნები მოილაპარაკებენ ერთმანეთში, მაშინ მათ ანგარიშს გაუწევენ, როგორც ძლიერ ძალას, გიგანტურ გეოპოლიტიკურ კონსტრუქციას. დავუშვათ, რომ ამ ძალამ ერთობლივად შეიმუშაოს დასავლეთისგან განსხვავებული ერთგვარი ცივილიზებული პროექტი? აი, ამას უკვე შეუძლია შეარყიოს ევროპული და ამერიკული სიძლიერის საფუძველი, რაც არც თუ დიდი ხნის წინათ პლანეტარული გახდა.

**— სსრ კავშირი ხომ ცდილობდა ასეთი პროექტის შემუშავებას?**

— დიახ, მაგრამ მას ყველაზე მეტად აინტერესებდა მარქსიზმი მისი ათეიზმითა და კომუნისტური უტოპიზმით. ძმობისა და ერთობის ღირებულებებთან ერთად ხალხს უნერგავდნენ მისთვის სრულიად უცხო საწყისებს. კრემლს იმედი ჰქონდა, რომ ხალხთა დაახლოებას მოჰყვებოდა სხვაობათა წაშლა, რელიგიურ რწმენაზე და თვითმყოფად ტრადიციებზე უარის თქმა. ეს იყო დიდი შეცდომა, რაც საბჭოთა კავშირს ძვირად დაუჯდა.

**— მაგრამ ხომ შესაძლებელია და აუცილებელიც იყო ხალხების ძალისხმევის გაერთიანება პოზიტიურ ნაციონალიზმზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ვიწრო შოვინიზმთან?**

— დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, რომელიც გაძლიერებით ახდენს ყოველივე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სხვაობის ლიკვიდაციას (გაცილებით ეფექტიანად, ვიდრე ამას ზოგიერთი საბჭოთა ლიდერი აკეთებდა), მეტად მნიშვნელოვანია საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. და ამის გაკეთება ერთად უფრო ადვილია ორმხრივი კავშირებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. აუცილებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაციონალისტების კავშირი, კავშირი ხალხთა თვითმყოფადობისთვის და დასავლური უნიფიკაციის წინააღმდეგ. უნდა ვისწავლოთ ქვეყანათა შორის დაპირისპირების გადაჭრა იმ საერთოს გამოყენებით, რაც მათ აქვთ.

**— რა აქვთ, მაგალითად, ბატონო ალექსანდრ, საერთო რუსეთსა და საქართველოს?**

— ძალიან ბევრი რამ. უწინარეს ყოვლისა ესაა — მართლმადიდებლობა, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება მომხვეჭელობისა და ეგოიზმის სულისკვეთებას, ასე რომ მსჭვალავს დასავლეთის ძველ სულიერებას. არის ისტორიული ფიგურა, საერთო ორივე ქვეყნისთვის. ესაა — სტალინი, დიდი ქართველი, რომელმაც გაუგო რუსეთს და მართლმადიდებლური სამყაროს მრავალსაუკუნოვან ბიზანტიურ, იმპერიულ ტრადიციას.

## კვლევა

# განათლება, ნაცნობობა თუ ფული?...

**მარკეტინგული კვლევებისა და კონსალტინგის კომპანია „ეისითი“ მუდმივად იკვლევს მოსახლეობის განწყობასა და დამოკიდებულებას საზოგადოებრივად აქტუალური საკითხების მიმართ. დღეს კვლევის ერთ-ერთი თემა განათლების რეფორმაა. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში პირისპირ ინტერვიუს ფორმით სულ გამოიკითხა 16-70 წლის 1200 ადამიანი.**

**კვლევის მონაცემებმა ცხადყო, რომ ქვეყანაში განათლების მნიშვნელობა მაღალია:**

ზოგადად, განათლების მნიშვნელობის მაჩვენებელი კარგი სამსახურის მოძიების საკითხში 2005 წლიდან გაზრდილია. ასე ფიქრობს გამოკითხული ურბანული მოსახლეობის უმრავლესობა — 56 პროცენტი.

კონკრეტულ საპირწონე კითხვაზე, სამსახურის მოსაძიებლად დღეს რა უფრო მნიშვნელოვანია, განათლება, ნაცნობობა თუ ფული, მოსახლეობის უმრავლესობა — 46 პროცენტი, ასევე, განათლების მნიშვნელობას ანიჭებს უპირატესობას.

ბოლო 5 წლის მანძილზე, მოსახლეობის უმრავლესობის — 61 პროცენტის აზრით, განათლების მნიშვნელობა გაზრდილია საქართველოს მოქალაქეების ოჯახებში.

საქართველოში განათლების რეფორმას, ქვეყნის ურბანული მოსახლეობის 36 პროცენტი დადებითად აფასებს; მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებს გამოკითხულთა 39 პროცენტი; უარყოფითი დამოკიდებულება აქვს გამოკითხულთა მხოლოდ 23 პროცენტს.

ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ 2004 წელს დაწყებული განათლების რეფორმა მთლიანობაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს? — 39 პროცენტის აზრი დადებითია. განათლების რეფორმის წარმატება გავლენას ახდენს მოსახლეობის საარჩევნო განწყობაზეც — ის, თუ როგორ აფასებენ ადამიანები რეფორმას, განაპირობებს მათ პოლიტიკურ სიმპათიებსაც.

კითხვაზე, ითვალისწინებთ თუ არა განათლების რეფორმის ფაქტორს არჩევნებზე ხმის მიცემის დროს? — 42 პროცენტმა უპასუხა, რომ ითვალისწინებს.

**ნატა ნიბლაძე**

## ინფორმაცია

### გამოუშვებენ ახალ ასდოლარიან კუპიურას

**ვაშინგტონში ახალი 100-დოლარიანი კუპიურის პრეზენტაცია გაიმართა. სააგენტო „უკრინფორმის“ ცნობით, ახალი კუპიურა აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა, ასევე ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ წარადგინეს.**

საზეიმო ცერემონია პირველი ეტაპია იმ მასშტაბური პროგრამისა, რომელიც მოსახლეობის ინფორმირებას ისახავს მიზნად, თუ როგორ გაარჩიონ ნამდვილი კუპიურა ყალბისაგან.

განახლებულ კუპიურაზე ბენჯამინ ფრანკლინის გამოსახულება და აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალური ბეჭედი რჩება. თუმცა, იგი შეიცავს რამდენიმე ახალ ელემენტს, რომელთა კოპირება თითქმის შეუძლებელია. მათ შორისაა სამგანზომილებიანი ცისფერი დამცავი ზოლი ზარის გამოსახულებით, გამოსახულება ციფრი „100“-ით იცვლება.

კუპიურის დიზაინის ერთ-ერთი თავისებურებაა ზარისა და სამელნეების გამოსახულება, რომელთაც ერთგვარი სპილენძისფერი აქვთ, მაგრამ კუპიურის მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, ზარი მწვანე ხდება.

— აღნიშნული კუპიურა დამზადებული იქნა საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც საშუალებას გვაძლევს გამყალბებლებზე წინ ვიყოთ, — განაცხადა აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ტიმოტი გაიტნერმა.

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის ბენ ბერნანკეს განცხადებით, ახალი კუპიურით გადახდა მომავალი წლის 10 თებერვლიდან იქნება შესაძლებელი. ამასთან, დაახლოებით 6.5 მლრდ ძველი კუპიურა ისევ რჩება მიმოქცევაში.

### დოკუმენტებს აყალბებდნენ

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე დააკავეს ქ. რუსთავში მოქმედი შპს „მოდინახე 2008“-ის დირექტორი ვაჟა კურცხალია და შპს „პაკო ავტომოტივის“ წარმომადგენლები: კობა თოლორაია და გიორგი კვიჟინაძე, რომლებმაც საერთო ჯამში დაამზადეს და გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები, ზედნადებები და ქვითრები 70 000 ლარამდე ღირებულების სხვადასხვა საქონელზე, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.**

აღსანიშნავია, რომ ვ. კურცხალიამ ყალბი დოკუმენტების დამზადებაში გარიგებული თანხის ნაწილი — 500 ლარი აიღო, კ. თოლორაიამ და გ. კვიჟინაძემ კი - 600 ლარი. სამივე ეჭვმიტანილი სამართალდამცველებმა ფაქტზე დააკავეს.

### დააკავეს ნარკომანი პოლიციელი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულ იქნა ძველი თბილისის სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი გიორგი ყველაშვილი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. სამართალდამცავების განცხადებით, ყველაშვილს შემოწმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკის მოხმარების ფაქტიც.**

აღნიშნულ საქმეზე ასევე დაკავებულ იქნენ მალხაზ გასოიანი და დავით ოზმანიანი, რომელთა მიერ სისტემატურად ხდებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საქართველოში უკანონოდ შემოტანა და რეალიზაცია.

დაკავებული პოლიციელი აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კონფლიქტის ზონა

### ხუთასამდე ოჯახი ე. წ. სამხრეთ ოსეთში ბრუნდება

**ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვრებელმა 500-მდე ოჯახმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მუდმივად საცხოვრებლად გადასვლის სურვილი გამოთქვა. ინფორმაციას ამის შესახებ ოსური სააგენტო „ოსინფორმი“ ჩრდილოეთ ოსეთის ნაციონალობის საქმეთა მინისტრზე ტაიმურაზ კოზაევზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ოსური მხარის ინფორმაციით, მომავალ კვირას ვლადიკავკაზიდან ცხინვალში სპეციალურად ამ საკითხის შესასწავლად დელეგაცია ჩავა, რომელიც „ჩრდილო ოსეთიდან ამ რაოდენობის ოჯახების სამხრეთ ოსეთში ჩასახლების საკითხს შეისწავლის“. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას, ხაზგასმით აღნიშნულია ისიც, რომ თავის დროზე ეს ოჯახები ე.წ. სამხრეთ ოსეთში და საქართველოს შიდა რაიონებში ცხოვრობდნენ და პირველი ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ვლადიკავკაზში გადასახლდნენ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ისინი მზად არიან მიიღონ ეს ოჯახები და მათ ცხოვრებისათვის საჭირო პირობები შეუქმნან.

**ჯი-ეიჩ-ენი**

---

და მანანა კავკასიძე, სიძე ზაურ ბოჭორიშვილი, ძმისწულები გია, ნია, დისწული ვანიკო, რძლები თეა ჭკუასელი, სოფო მოროშკინა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ელგუჯა (გუჯაძ კავკასიძის

გარდაცვალებას.

---

ლია ბოჭორიშვილი, ირაკლი, ია და ირინა დვალები ოჯახებით იუწყებიან ახლობელი ადამიანის, ღირსეული პიროვნების

ელგუჯა კავკასიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს ასოციაცია „მონკავშირი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს საპატიო მონადირე, მეცნიერების დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი

ელგუჯა კავკასიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თანამშრომლები

---

მეუღლე პეტრე ერისთავი, შვილი ტუგა, რძალი თინა თოფურია-ერისთავი, შვილიშვილები კოტიკო ერისთავი, მარიკა გურგენიძე, სიძე გიორგი ღოღობერიძე, ძმისწულები თამილა მგალობლიშვილი, ნანა იამანიძე, რძლები მანანა ფხაკაძე, ქეთი კეკელიძე, მაზლიშვილი ლელი ერისთავი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეილა (დოდოშკაძ მგალობლიშვილი-ერისთავისა

პანაშვიდი 22, 23 IV, გამოსვენება 24 IV, 15 სთ. იოსელიანის ქ. №37 II სადარბაზო.

## განცხადება

**ქ. თბილისის №199 სკოლა-პანსიონი „კომაროვი“ აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის სარდაფის 145 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად კვების პროდუქტების სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობის ფუნქციონირებისათვის.**

საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადა 5 წელი, მინიმალური საკონკურსო ფასი ყოველთვიურად — 301 ლარი (წლიური (3612ძ. განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №199 სკოლის დირექციაში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: №199 საჯარო სკოლა. მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №49. ტ: 877 481112, დირექტორი გელა მანელიძე.**

## დაიჯესტი

### „სამხატვრო არსენალი“



**უკრაინის ექს-პრეზიდენტი, მისივე ადმინისტრაციის ყოფილი მაღალი რანგის ჩინოსნები – საქმეთა მმართველი, სამდივნოს უფროსი, კიდევ მრავალი სხვა – ეს არის ახლა კიევში „მისტეცკი (ანუ სამხატვროძ არსენალის“ მუზეუმის... სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, რომელიც ვიქტორ იუშჩენკომ თავისი ერთ-ერთი ბოლო ბრძანებულებით დანიშნა.**

საგულისხმოა ასევე ის, რომ თავად „სამხატვრო არსენალის“ სამუზეუმო კომპლექსი – უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ინიციატივით განხორციელებული ერთობ ამბიციური პროექტია. სამუშაოები მის შესაქმნელად 2006 წელს მისი მითითებით დაიწყეს – მაშინ ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ „მისტეცკი არსენალი“ მალე უკრაინის კულტურულ ცენტრად გადაიქცევა. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის დაფინანსების თითქმის ორი მილიარდი გრივნის ოდენობის ეროვნული პროგრამა 2014 წლამდეა გაწერილი, ხოლო თებერვალში მას „ეროვნულის სტატუსი“ მიენიჭა, რაც სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

### სუპერკომპიუტერები და სუპერწამლები

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სუპერკომპიუტერების მუშაობას გაეცნო.** აღსანიშნავია, რომ ამ კომპიუტერების დახმარებით, რომლებიც წამში 420 ტრილიონ ოპერაციას ასრულებენ (!!ძ, მეცნიერებმა შეძლეს უნიკალური წამლების შექმნა, მათ შორის ისეთების, რომლებიც ტრომბების ბლოკირებას ახდენენ.

### თუ ხმები გამართლდა...

**დანიის პრესაში გაჩნდა მასალები იმის თაობაზე, რომ ფარმაცევტული კომპანიები გარკვეულ გასამრჯელოებს უხდიან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (მჯოძ ექსპერტებს...** ახალი ტიპის – გრიპის ირგვლივ აჟიოტაჟის შექმნაში. საგულისხმოა, რომ რუსეთში მაღალ დონეზე უკვე გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ თუ ეს ხმები გამართლდა, ქვეყანამ შეიძლება შეწყვიტოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობა.



### მიშელი, კარლა და სხვები

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მეუღლე მიშელი ჟურნალმა**





**„ELLE“ მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე ელეგანტურ ქალბატონად დაასახელა.** მეორე პოზიციაზე გავიდა საფრანგეთის პრეზიდენის ნიკოლა სარკოზის მეუღლე კარლა ბრუნი-სარკოზი.

### პინანგა, გველების ტაძარი

**იშვიათად შეხვდებით ადამიანს, ვისაც გველების საერთოდ არ ეშინია. არადა, დედამიწაზე არის ერთი ისეთი ადგილი, სადაც აუარება გველია და სადაც ყოველ ცისმარე დღეს უამრავი ხალხი მიდის, რომელსაც სხვა დროს გველის სახელის ხსენებაზე შიშის ზარი სცემს. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ ჯერ არასდროს ყოფილა, რომ გველს ვინმესთვის ეკბინოს.**

ეს ადგილია პინანგას ანუ გველების ტაძარი, რომელიც მალაიზიის კუნძულ პინანგაზეა აგებული. აქ უზარმაზარი მახრჩობელა გველები და ასნაირი სახეობის კობრა, მამბა, ბუშმაისტერი და ა.შ. ბინადრობს. ჩვეულებრივ დღისით ტაძრის ბინადართ იატაკზე დახვეულებს ან სვეტებზე შემოხვეულებს სძინავთ. საქმე ის არის, რომ შუადღის ხვატი და წირვის დროს საკმეველთა სუნი ბანგავს ქვეწარმავლებს. საღამოს კი, როცა მზე ჩაესვენება და წირვა იწყება, გველები „ცოცხლდებიან“.

## დღის კალენდარი

### 23 აპრილი

**ხსენება წმიდა დედათა ქვაბთახევის მონასტრის წამებულთა, ჟამთა თემურლენგისასა (1386ძ; წმიდა მოწამეების ტერენტი, პომპიოს, აფრიკან, მაქსიმე, ზენონ, ალექსანდრე, თეოდორე და სხვათა (IIIძ; იაკობ ხუცისა, აზადან და ავდიკია დიაკონთა (დაახლ. 380ძ – სპარსელთა.**



**ამოდის 05.08**
**ჩადის 18.49**



**ამოდის 02.57**
**ჩადის 13.34**

### დაიბადნენ:

**1564 – უილიამ შექსპირი,** დიდი ინგლისელი დრამატურგი და პოეტი. გარდაიცვალა 1616 წელს.

**1791 – ჯეიმს ბიუკენენი,** აშშ-ს მე-15 პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1868 წელს.

**1858 – მაქს პლანკი,** დიდი გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური თეორიის ფუძემდებელი.

**1867 – იოჰანეს ფიბიგერი,** დანიელი მიკრობიოლოგი და პათოლოგი. ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიასა და მედიცინაში.

**1876 – ივანე ჯავახიშვილი,** დიდი ქართველი ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი. გარდაიცვალა 1940 წელს.

**1891 – სერგეი პროკოფიევი,** დიდი რუსი კომპოზიტორი.

**1899 – ვლადიმირ ნაბოკოვი,** რუსული წარმოშობის ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1973 წელს.

**1902 – ჰალდორ ლაქსნესი,** ისლანდიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

**1784 – სოლომონ I,** იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში.

**1616 – მიგელ დე სერვანტეს საავედრა,** დიდი ესპანელი მწერალი.

**1966 – ვლადიმერ ფუთურიძე,** ქართველი ირანისტი, საქართველოში სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის ფუძემდებელი.

### მოვლენები:

**1879 წელი** – ეივონის სტრეტფორდში შექსპირის მემორიალური თეატრი გაიხსნა.

**1932 წელი** – ეივონის სტრეტფორდში გაიხსნა შექსპირის სამეფო თეატრი, სადაც იმართება შექსპირის სახელობის ფესტივალები.

**1962 წელი** – გაუშვეს ამერიკული ავტომატური სადგური „რეინჯერი“, რომელიც მთვარის ზედაპირზე დაჯდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**წიგნისა და საავტორო უფლებების დღე.**

**ესპანეთი** – დედოფალ იზაბელას დღე.

**აშშ** – კონფედერაციის გმირთა დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7499 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3302 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6628 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9520 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3636 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1778 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2083 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1643 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5643 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +19 |
| ქუთაისი. | +15 – +26 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +14 – +24 |
| თელავი. | +9 – +21 |

## კადრი



## ანეკდოტები

– მიხო, რა ქენი? წითელ დიპლომზე უმაღლესდამთავრებულს, ცხადია, არ გაგიჭირდებოდა საგადასახადო ინსპექციის თანამდებობაზე მოხვედრა...

– ვერ მოვხვდი. გასაუბრებაზე ჩავფლავდი, თანაც პირველსავე კითხვაზე.

– ისეთი რა გკითხეს, კაცო?!.

– ბავშვობაში კატა თუ გიწვალებიაო. მე სულელმა კიდევ დაუფიქრებლად ვუპასუხე, არამეთქი.

* * *



„შენ მასზე ზიხარ, ჩემო კარგო“ – ასე უპასუხა ალფრედ ჰიჩკოკმა მსახიობ მერი ანდერსონს კითხვაზე, რომელი მხრიდან ვარ ყველაზე მიმზიდველფოტოგენურიო.

* * *

პარლამენტის სხდომებზე ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც მიეცათ დასწრების უფლება. ერთ მათგანს ორი სტუდენტი ფილოსოფოსი დაესწრო.

მას შემდეგ, რაც ორი საათი ისხდნენ და დეპუტატთა გამოსვლებს უსმენდნენ, ერთმა სტუდენტმა მეორეს ჰკითხა:

– არ გინდა, რომ თითოეულ მათგანს ცხვირპირი დაუნაყო?

– ჭეშმარიტი ფილოსოფოსი ტკბობაზე არ უნდა ფიქრობდეს.

* * *

ისლანდიამ მთელ მსოფლიოს უჩვენა თავისი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძლიერება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.